გაზეთი ზევრის. „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

№6 (1647) 22 — 28 თებერვალი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

## სამხრეთკავკასიის სამი ქვეყნის ლიდერის ისტორიული შეხვედრა მიუნხენში

ამირან სალუქვაძე: „როგორ არ უნდა გიყვარდეს ქვეყანა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმებიც შიდა კინკლაობისთვის გამოიყენო?!“

# „მოვა დრო და ყველაფერს იტყვის!“



რატომ არ მიჩნევს თავს დამნაშავედ – ინტერვიუ ბადრი ესებუას ადვოკატთან

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

## რა საფრთხეს უქმნის „აგენტების კანონი“ საქართველოს ევროპულ მომავალს

პაატა დავითაიას პასუხები ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ კითხვებზე

## სისხლიანი 25 თებერვალი, რომელმაც საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დაატრიალა

ქართული ღალატის თანამედროვე ქრონიკა

## შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფენ

ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის – „ბაკურიანი 2023“-ის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რამდენიმედღიანი ღონისძიების მსვლელობისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

„ბაკურიანი 2023“-ში, 42 ქვეყნის 700 – მდე სპორტსმენი მონაწილეობს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ეკიპაჟები უზრუნველყოფენ დაწესებული სატრანსპორტო რეგულაციების აღსრულებას, ჩემპიონატში მონაწილე პირებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, დაბა ბაკურიანში მოსახლეობისა და ტურისტების უსაფრთხოების მიზნით, მართლწესრიგისა და საგზაო მოძრაობის წესების დაცვას უზრუნველყოფენ. მოთხილამურე პატრულები კი სასრიალო ტრასებზე დამსვენებელთა უსაფრთხოებას დაიცავენ. მოთხილამურე პატრულები აღჭურვილი არიან ყველა საჭირო ტექნიკით, რათა საჭიროების შემთხვევაში, დამსვენებლებს შესაბამისი დახმარება გაუწიონ.

კრიმინალური პოლიცია დაბა ბაკურიანში, 24 საათის განმავლობაში, ახორციელებს დანაშაულის პრევენციის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი კი ჩემპიონატის ღონისძიებების ტერიტორიებზე მყოფი მონაწილეებისა და გულშემატკივრების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. სხვადასხვა ლოკაციაზე მოწყობილია დაცვის პოლიციის 4 საგუშაგო, სადაც დაცვის პოლიციის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები დაბა ბაკურიანში მობილიზებულნი არიან შესაბამისი ტექნიკითა და აღჭურვილობით, რათა საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ სახანძრო-სამაშველო ღონისძიებები. მაშველები ორ ლოკაციაზე არიან გადანაწილებულნი.

## პოლიციამ რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და 13 პირი დააკავეს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული ი.მ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე დააკავეს. სამართალდამცველებმა, ი.მ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს პისტოლეტი და მჭიდი.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ლ.ა. ქალაქ რუსთავში, ხოლო 1987 წელს დაბადებული ა.ტ. – ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა დროს დააკავეს. სამართალდამცველებმა, ლ.ა.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს მაკაროვის კონსტრუქციის პისტოლეტი, მჭიდი და 8 ვაზნა. ა.ტ.-ის პირადი ჩხრეკისას კი პოლიციამ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, 20 ვაზნა და მჭიდი. შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული გ.ს. და 1998 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ს.-მ ცეცხლსასროლი პისტოლეტები გ.მ.-ზე უკანონოდ გაასაღა. სამართალდამცველებმა თბილისში, გ.მ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი პისტოლეტები ნივთმტკიცებად ამოიღეს. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. სამართალდამცველებმა 1988 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი მ.დ., საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფის“ ტერიტორიაზე დააკავეს. მისგან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია პისტოლეტები და მჭიდები.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს მცხეთა– მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ზ. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 30 ვაზნა და 2 სანადირო თოფი ამოიღეს. რაც შეეხება სამეგრელოს რეგიონს, ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა – 1960 წელს დაბადებული ვ.მ., ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა – 1983 წელს დაბადებული მ.ბ., ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა – 1968 წელს დაბადებული გ.ვ., მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1963 წელს დაბადებული თ.გ., სხვადასხვა დროს დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ვ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს MAGNUM-ის ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი და 2 ვაზნა. პოლიციამ ავტომობილიდან, რომლითაც მ.ბ. გადაადგილდებოდა, ასევე, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო შაშხანა, 22 ვაზნა და პნევმატური პისტოლეტი. გ.ვ.-ის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკისას კი სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებადაა ამოღებული 2 რევოლვერი, შაშხანა და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 248 ვაზნა. პოლიციამ თ.გ.-სგან, ნივთმტკიცების სახით, ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 40 ვაზნა. კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1976 წელს დაბადებული ბ.ს. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის, დამხმარე სათავსოებისა და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამავე დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1982 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.ზ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრს უმასპინძლა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესი, დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს. მხარეებმა საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა პოლიციის ატაშეების როლი სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში და დადებითად შეფასდა ბოლო პერიოდში განხორციელებული ერთობლივი ოპერაციები.

ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში, წარმატებით გადაწყდება მხარეთა შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების გაფორმების საკითხი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოხდა ქართული მართვის მოწმობების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.

შეხვედრის ფარგლებში, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს – „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“. აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოსა და ესპანეთს შორის ურთიერთობის გაძლიერებას უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიმართულებით. შეხვედრის დასასრულს, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგას მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და ქართულ მხარესთან ორი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების პრიორიტეტულ საკითხებზე აქტიური თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა გამოთქვა.

# სისხლიანი 25 თებერვალი, რომელმაც საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დაატრიალა

ვანო პავლიაშვილი

**... იმ დღეს თოვდა, მაგრამ ეს თოვლი თეთრი კი არა, სისხლისფერი იყო... იმ დღეს საქართველოში „წითელი ვირუსი“ გავრცელდა, ვირუსი, რომლის სამკურნალო ვაქცინის „გამოგონებასაც“ ათეულობით წელი დასჭირდება... თავდაპირველად, ვაქცინას დადებითი ეფექტი ექნება და სენს თითქოს დაამარცხებს... ამ ვაქცინას „ეროვნულ მოძრაობას“ დაარქმევენ, მაგრამ მერე, წლები რომ გავა, წითელი დაავადება „გაცოცხლებას“ დაიწყებს, ეროვნული მოძრაობაც მინავლდება და ვიღაცები 1921 წლის 25 თებერვლის რეინკარნაციას შეეცდებიან. ეს „ვიღაცები“ მოდერნიზებული ბოლშევიკები იქნებიან ანუ ახალი ყაიდის კომუნისტები, რომელთაც „37 მანეთის“ სევდა წალეკავს. მათ მარო მაყაშვილისა თუ სხვა იუნკრების პატრიოტულ სულისკვეთებაშიც ეჭვი შეეპარებათ და 21-ე საუკუნეში, გული ისევ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტების იმპერიისკენ გაუწევთ...**

## ქართული ღალატის თანამედროვე ქრონიკა

ასე გაჩნდება ქართული ღალატის ისტორიაში ახალი სამარცხვინო დეტალები, თუმცა გაუცხოტომებული ჩვენებურების ღალატის ანატომიას „ვერსია“ სხვა დროს შეისწავლის. ამჯერად კი, სისხლიანი თებრვლის X-ფაილს წარმოგიდგენთ.

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, თებერვალი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვის სისხლიანი თვეა. ნუგზარ საჯაია, ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი – ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებისთვისაც თებერვალი ფატალური აღმოჩნდა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, თებერვლის ფატალურობა არც უნდა გვიკვირდეს, რამეთუ სახელმწიფოს, რომელსაც „საბჭოთა სოციალისტური საქართველო“ ერქვა, საძირკველი, სწორედ თებერვალში, „ცეცხლითა და მახვილით“ ჩაეყარა. ზემოხსენებული პიროვნებებიც, თავის დროზე, საბჭოთა საქართველოს მოქალაქეები იყვნენ...

მართალია, ბოლშევიკებმა საოცნებო კომუნიზმი ვერ ააშენეს და „დიადი“ საბჭოეთის იდეაც ხუხულასავით ჩამოიშალა, მაგრამ ამბობენ, რომ ბუნებაში უკვალოდ არაფერი ქრება. ჰოდა, ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა თუ ნუგზარ საჯაიას ბედიც, შესაძლოა, სწორედ „წითელმა მონსტრებმა“ გადაწყვიტეს. ახლა, შეიძლება, თქვათ, ასეთი ფილოსოფიური წიაღსვლა რა საჭიროა, მაგრამ თავისთავად საყურადღებოა, რომ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, იქ, სადაც ახლა საქართველოს პარლამენტია, თავის დროზე, ეკლესია იდგა. ეკლესიის ეზოში სასაფლაოც ყოფილა და სწორედ ამ სასაფლაოზე დაუკრძალავთ 1921 წლის 25 თებერვალს, მტარვალ ბოლშევიკებთან ბრძოლაში განგმირული ქართველი პატრიოტი იუნკრები. ზურაბ ჟვანია დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს პირველი პარლამენტის პირველი თავმჯდომარე გახლდათ და... მუშაობა, წლების განმავლობაში, ნებსით თუ უნებლიედ, ცოდვიან ადგილას უწევდა...

იმ შენობას კი, სადაც ნუგზარ საჯაია და, შესაბამისად, უშიშროების საბჭო საქმიანობდა, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, „ქაჯეთის ციხეს“ ეძახდნენ... ბადრი პატარკაციშვილის „არკადიაც“ კომუნისტურ ეპოქაში „იშვა“...

ჰო, ყველაფერი ეს, შესაძლოა, მისტიკაა, მაგრამ თავისი მისტიკა პოლიტიკასაც აქვს, თუმცა ამჯერად თებერვლის მკვლელობებზე საუბრით, როგორც იტყვიან, თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ტრაგიკულ 25 თებერვალს გაგახსენებთ, იმ 25 თებერვალს, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორია უკუღმა დაატრიალა და სამწუხაროდ, დღესაც თავისას შვრება – ვინმეს მოსწონს თუ არა, რეალობაა, რომ ვიღაცები ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ისევ რუსეთის ფრთებქვეშ შეთრევას უპირებენ...

* * *

როგორც აღვნიშნე, ნუგზარ საჯაია, ზურაბ ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი, სწორედ თებერვალში ანუ იმ თვეს გარდაიცვალნენ, რომელ თვეშიც ჩვენს ბავშვობა-სიყმაწვილეში, მინიმუმ, ორ დღეს ზარ-ზეიმით აღვნიშნავდით: ახალგაზრდებს არა, მაგრამ ჩემს და ჩემზე უფროს თაობას კარგად ახსოვს, რომ 23 და 25 თებერვალი დასვენების დღეები იყო. მეტიც, 23 თებერვალი – საბჭოთა არმიის დღე, რატომღაც, ბიჭებისა და, საერთოდ, მამაკაცების დღედ ითვლებოდა და ტრადიციაც არსებობდა – ამ დღეს თანაკლასელ, თანაჯგუფელ თუ თანამშრომელ დიაცებს მამაკაცებისთვის ოდეკოლონები უნდა ეჩუქებინათ.

სამწუხაროდ, 23 თებერვლის „ტრამპა-ცუმპით“ აღნიშვნის ნოსტალგია თითო-ოროლას დღემდე აქვს. არადა, საბჭოთა იმპერიის მოქალაქეების უმეტესობამ ხეირიანად არც კი იცოდა, 23-ში რას ზეიმობდა და ცხადია, იმაზეც არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ 1918 წლის 23 თებერვალს, წითელი არმია დაარსდა, ის წითელი არმია, რომლის მე-11 ბრიგადამაც 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში სისხლის კალო მოაწყო.

* * *

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთი ამბავი გამახსენდა და უნდა გიამბოთ: თუ არ ვცდები, 1999 წელი იქნებოდა. ბათუმში ჩავედი. ეს ის დროა, როცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ასლან აბაშიძე განაგებდა და ჩოლოქის ხიდი ერთგვარ სადემარკაციო ხაზად ითლებოდა...

23 თებერვალი იდგა...

მართალია, „ბაბუსთან“ (მოგეხსენებათ, აბაშიძეს მთელი საქართველო ასე ეძახდა) შეხვედრა შეთანხმებული მქონდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ აუდიენცია ჩაიშალა, რამეთუ აბაშიძე – არც მეტი, არც ნაკლები – 23 თებერვლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე წავიდა. იმხანად, რუსეთის სამხედრო ბაზებს საქართველო ჯერ დატოვებული არ ჰქონდათ და საოცდასამთებერვლო „კარნავალსაც“ რუსები მართავდნენ... მახსოვს, ამის ნიადაგზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წინ, შუა ქუჩაში, მე და ასლან აბაშიძეს შელაპარაკება მოგვივიდა... ისიც მახსოვს, თავზე „ბაბუს“ დაცვის ბიჭები წამომადგნენ და ჩემს თბილისელ თანმხლებს რომ არ გავეჩერებინე, ალბათ, საკადრისადაც დამსჯიდნენ. სხვათა შორის, აჭარაში ე.წ. „შიდა პატიმრობას“ მაინც ვერ გადავურჩი, თუმცა ეს სხვა ამბავია, რომელიც სხვა დროს მოხდა და რომელსაც სხვა დროს მოვყვები...

ერთი მისტიკური სიმბოლურობა: ასლან აბაშიძე, მაშინდელი ცენტრალური ხელისუფლებიდან, ყველაზე მძაფრად ცხონებულ ზურაბ ჟვანიასთან იყო დაპირისპირებული...

96 წლის წინანდელი 25 თებერვლის მოვლენებს ყველაზე ემოციურად კოლაუ ნადირაძის ლექსი – „25 თებერვალი“ გადმოსცემს, რომელიც ყველამ ზეპირად თუ არ იცის, გაგებული მაინც აქვს და რომელსაც აქვე გთავაზობთ:

**„თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,**
**დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.**
**ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,**
**საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი -**
**ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!**
**მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,**
**ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,**
**არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!**
**თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,**
**დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.**
**დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,**
**მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,**
**ეფინებოდა გმირების გვამებს -**
**განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,**
**და უძრავ იყო თებერვლის ღამე.**
**თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,**
**დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.**
**იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,**
**სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,**
**სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,**
**მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,**
**სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,**
**თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, -**
**წითელი დროშით, მოღერილ ყელით,**
**თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით**
**შემოდიოდა სიკვდილი ცელით!**
**თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,**
**დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!“**

* * *

ორ დღეში, 25 თებერვალია. არ ვიცი, წელსაც მოთოვს თუ არა, მაგრამ... სიონს ისევ თალხი რომ ახურავს და ხალხიც რომ ისევ დუმს, ეს ფაქტია.

# „მოვა დრო და ყველაფერს იტყვის!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## რატომ არ მიჩნევს თავს დამნაშავედ – ინტერვიუ ბადრი ესებუას ადვოკატთან

**შსს-მ, ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული ძარცვის საქმეზე ძებნილი ბადრი ესებუა, 2023 წლის 8 თებერვალს დააკავა. ესებუას ბრალი რამდენიმე მუხლით აქვს წარდგენილი და 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. „დაკავების ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე, 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს“, – აცხადებენ შსს-ში. პროკურატურის ცნობით, დაკავებისას ამოიღეს აფხაზეთის ე.წ. პასპორტი და რუსული რუბლებიც. შეგახსენებთ, რომ 2020 წლის 21 ოქტომბერს, ზუგდიდში, საქართველოს ბანკის ფილიალში შეიარაღებული პირი შეიჭრა. მან ბანკის თანამშრომლები და ადგილზე მყოფი მოქალაქეები მძევლად აიყვანა. ერთ-ერთი მძევალი, თავდამსხმელის დავალებით, მედიას დაუკავშირდა და პირდაპირ ეთერში უყურებდა მოსახლეობა საქართველოში, ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ ძარცვას.**

**თავდამსხმელი მოითხოვდა 500 000 აშშ დოლარს, ვერტმფრენს ან მანქანას. თავდამსხმელმა საქართველოს ბანკის მიმდებარე ტერიტორია დატოვა სამ მძევალთან ერთად, მათ შორის, ერთ-ერთი იყო შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, ავთანდილ გალდავა. მოგვიანებით, თავდამსხმელმა მასთან ერთად მყოფი სამი მძევალი გაათავისუფლა, თვითონ კი გაიქცა.**

**სამართალდამცავი სტრუქტურის მიერ ბადრი ესებუა ზუგდიდში თავდასხმიდან მალევე იქნა იდენტიფიცირებული, მაგრამ ამ დრომდე დაკავებული არ იყო. ესებუა ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების მუხლებითაა ბრალდებული. მის საქმეს ზუგდიდის სასამართლო განიხილავს.**

**„ვერსია“ ბადრი ესებუას ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს ესაუბრა.**

**– ბატონო ლექსო, როდის გაესაუბრეთ ბადრი ესებუას და რას ამბობს? როგორც ცნობილია, დანაშაულს არ აღიარებს...**

– დიახ, ასეა. დაახლოებით, ერთი კვირის წინ ვესაუბრე და როგორც გავრცელდა, არ აღიარებს დანაშაულს, თუმცა ძალიან ბევრი ნიუანსია, რაც საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. პირველი ისაა, რომ მისი ძმა ჰყავს მძევლად აყვანილი ხელისუფლებას და კვლავ ტყვეობაშია. ბადრი ესებუას ამოცანაა, რომ პირველ რიგში, ძმა იქნას გათავისუფლებული და თუ რაიმე კითხვა ექნებათ, მზადაა, ნებისმიერ კითხვას გასცეს პასუხი.

**– ბადრის ძმას, ბიძინა ესებუასაც დაკავებისას იარაღი აღმოუჩინეს...**

– იარაღი რომ ამოღებულ იქნა, შესაძლოა, ჩაუდეს და ამაზე აქვს პროტესტი. ძმა რა შუაშია, ძმა საერთოდ არაფერ შუაშია.

ასევე, როდესაც ბადრი ესებუა დააკავეს, ჰყავდა ადვოკატი, თუმცა არ მოხდა ადვოკატის ონფორმირება, როცა ჩხრეკა-ამოღების ფაქტი მოხდა. მას ედავებიან, რომ დაკავების დროს გააჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, თავის ვაზნებით. ასევე, აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პასპორტი იყო მის ოთახში, ოფიციალური ვერსიით. შესაბამისად, ბევრი კითხვა ჩნდება – რატომ ეკუთვნოდა ბადრი ესებუას ეს პასპორტი? ასევე, ედავებიან, რომ ნახევარლიტრიან ქილაში ფულს ინახავდა. ჩხრეკა-ამოღების ოქმში წერია და რითი დასტურდება ეს?

**– ანუ, ფულს შუშის ქილაში ინახავდა... რა თანხაზეა საუბარი?**

– დიახ, დაახლოებით, 1 400 ლარზეა საუბარი, რაც აბსურდია. ასევე, ფიზიკურად გაუსწორდნენ, დათვალიერების ოქმში აშკარად ნაცემია და მისი უფლებები დაირღვა დაკავების მომენტში. როცა დააკავეს, როგორც წელან ვახსენე, ადვოკატი ჰყავდა, წესი ასეთია – ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებას ადვოკატი უნდა დაესწროს, რაც არ გააკეთეს და მას, როგორც ბრალდებულს, უფლებები დაერღვა. მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ, რასაც ბადრი ესებუა ითხოვს, ესაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანიშვნა.

**– სურს, რომ საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ?**

– დიახ, მაგრამ პროკურატურამ ასეთი ხრიკი გამოიყენა, ისეთი ბრალდებები წაუყენა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა განსჯადი არაა. მაგალითად, ერთ-ერთ ეპიზოდში ბადრი ესებუას ედავებიან, რომ იარაღი დაადე ერთ-ერთ პიროვნებას და ბანკამდე მიიყვანეო. კლასიკურად რომ შევაფასოთ, ეს არის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მაგრამ წარუდგინეს უფრო მსუბუქი ბრალდება, იძულება, იმის გამო, რომ არ ჩამჯდარიყო ამ კვალიფიკაციაში და ნაფიც მსაჯულებს არ განეხილათ საქმე. ასევე, მძევლად ხელში ჩაგდება, რომელსაც 144-ე მუხლი გულისხმობს, არ წარუდგინეს და წარუდგინეს მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნებისთვის. არადა, ვინც აღნიშნული გააკეთა, ერთადერთი მიზანი ჰქონდა, რომ თანხა აეღო. შესაბამისად, ნათელია, რომ პროკურატურას არ სურს, ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ ბადრი ესებუას საქმე.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ნაფიცი მსაჯულები დაინახავენ რეალობას, რომ აღნიშნული არ ჩაუდენია ბადრი ესებუას და ადამიანს ისე სჯიან და ასამართლებენ, რომ საერთოდ შემხებლობა ნულის ტოლია.

**– რა მტკიცებულებები დევს საქმეში, რითი ამტკიცებს პროკურატურა, რომ დამნაშავე ბადრი ესებუაა?**

– საქმეში დევს აფხაზეთის ე.წ. პასპორტი, ასევე რუბლები, რომელზეც ამბობენ, რომ ბადრი ესებუას ეკუთვნოდა და კითხვა ჩნდება – თუ ბადრი ესებუა არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იყო გადასული, უკან რატომ დაბრუნდა? ესაა აბსურდი, არ ყოფილა ბადრი ესებუა წასული, რადგან თუ მან ჩაიდინა ეს დანაშაული და იქ გაიქცა, მაშინ, უკან რატომ დაბრუნდა? როცა გარბიან, უკან აღარ ბრუნდებიან, ან თუ ბრუნდებიან და იმალებიან, ეს მით უმეტეს აბსურდია.

**– შესაძლოა, იმიტომ დაბრუნდა, რომ ძმა პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ...**

– ამ ლოგიკას თუ გავყვებით, მაშინ, უნდა აღიაროს და თქვას, მე ვიყავიო. ის კი ამას არ ამბობს.

**– თუმცა, ამბობს, რომ ითანამშრომლებს გამოძიებასთან.**

– კი, ძმასთან დაკავშირებით რა კითხვებიც ექნებათ, ითანამშრომლებს...

**– ასევე, მნიშვნელოვანია, ჩანიშნულია თუ არა ექსპერტიზა? პირს, რომელმაც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა, დაფარული ჰქონდა სახე, მაგრამ უჩანდა თვალები. ამ დეტალის მიხედვით, შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიცირება?**

– ექსპერტიზები ჩანიშნულია და ერთი მტკიცებულებაც არ ადასტურებს ბადრი ესებუას მონაწილეობას აღნიშნულ ბანკის ძარცვაში.

**– ესე იგი, თავად ამბობს, რომ ამ დროის განმავლობაში საქართველოში იყო და არსად წასულა?**

– დიახ, ასე ამბობს.

**– თუ ასეა, სახლში რატომ არ იმყოფებოდა?**

– იმიტომ, რომ უკვე იცოდა სამართალდამცავი ორგანოები უკანონო ქმედებებს ჩადიოდნენ მის წინააღმდეგ. თუ რატომ, არ მინდა, ამ დეტალებზე ვისაუბრო, რადგან თავად ისაუბრებს ყველაფერზე.

**– სასამართლოზე აპირებს ყველაფერ ამაზე საუბარს?**

– მოვა დრო და ისაუბრებს.

**– საინტერესოა, რით ხსნის იმ ფაქტს, რომ გაიქცა? მით უმეტეს, თუ უდანაშაულოდ მიიჩნევს თავს.**

– იმით, რომ მასსა და მის ოჯახზე უკანონო ქმედებები განხორციელდა. რომ მის გამოჩენას მოჰყვებოდა ის, რაც ახლა მოჰყვა, უკანონოდ არის დაკავებული.

**– რომელი მუხლებით ედება ბრალი ესებუას და თუ ეცდებით ბრალის გადაკვალიფიცირებას სასამართლოში?**

– რა თქმა უნდა, მოვითხოვთ, ტერორიზმი არაფერ შუაშია. თუ მუხლებზე ვსაუბრობთ, ეს არის კლასიკური ყაჩაღობა და ეს მუხლი არ აქვს წარდგენილი, ასევე, მძევლად ხელში ჩაგდება არ აქვთ წარდგენილი და გაზვიადებულია ბრალის ფორმულირება, „ტერორისტული მიზნებისთვის“ – ეს ტერმინია გამოყენებული, რამაც დაუმძიმა მუხლი. ეს ორი მუხლია ძირითადი – 329-ე და 323-ე, ასევე 150-ე და 236-ე მუხლები.

**– ყველაფერი ეს, სასჯელის რა ზომას გულისხმობს?**

– დაახლოებით, 15 წელს.

# რა საფრთხეს უქმნის „აგენტების კანონი“ საქართველოს ევროპულ მომავალს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

**საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ხალხის ძალა“ პარლამენტში დაარეგისტრირა კანონპროექტი – „კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც უცხოური დაფინანსებით მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხება. ინიციატივის მიხედვით, შემოღებულ იქნება „უცხოური გავლენის აგენტის“ ცნება და ასეთად გამოცხადდება ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის 20%-ზე მეტს უცხო ქვეყანა აფინანსებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი საქართველოს პარლამენტში შესულ კანონპროექტს ასე გამოეხმაურა:**

**„ჩვენ გვაქვს შეშფოთებები, ღრმა შეშფოთებები. გვაქვს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტში შესულ კანონპროექტზე და ღრმად გვაშფოთებს მისი შესაძლო შედეგები სიტყვის თავისუფლებასა და დემოკრატიაზე საქართველოში. ჩვენ ეს შეშფოთებები გავუზიარეთ საქართველოს მთავრობას. შემოთავაზებული კანონი გარიყავს და გააჩუმებს დამოუკიდებელ ხმას საქართველოს მოქალაქეებისა, რომლებიც თავიანთი საზოგადოებისთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად იღწვიან. ჩვენ გვჯერა, რომ მსგავსი კანონი პოტენციურ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. განცხადებები იმის შესახებ, რომ ეს კანონპროექტი დაფუძნებულია შეერთებულ შტატებში არსებული უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტზე – FARA, აშკარად მცდარია. მეტიც, ეს კანონპროექტი ჩანს, რომ ეფუძნება მსგავს რუსულ და უნგრულ კანონმდებლობას და არა FARA-ს ან რომელიმე ამერიკულ კანონმდებლობას“...**

**რა საფრთხეს შეუქმნის ეს კანონი დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებას და საქართველოს ევროატლანტიკურ მომავალს? – „ვერსიას“ ევროპელი დემოკრატების ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრა.**

პაატა დავითაიას პასუხები ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ კითხვებზე

**– ბატონო პაატა, „ხალხის ძალის“ მიერ დაინიცირებულ კანონპროექტს დასავლეთის აღშფოთება უკვე მოჰყვა. დასავლელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს კანონი საქართველოს პროდასავლურ კურსს დიდ საფრთხეს შეუქმნის და ამ კანონის დამტკიცებით, ჩვენი ქვეყანა დასავლეთთან „ყველა ხიდს დაწვავს“. ამ საფრთხეს თქვენც ხედავთ?**

– სრული აბსურდია ამ კანონის მიღება, ეს მართლაც იქნება „ხიდების დაწვა“ დასავლეთთან და ამას ხელისუფლებას არავინ აპატიებს. ხელისუფლებაში აცხადებენ, რა არის ცუდი, ევროპასა და აშშ-შია მსგავსი კანონი და ჩვენთანაც რომ იყოს, რატომ არ შეიძლება და რატომ აიგივებს ამას დასავლეთი რუსულ კანონებთანო?.. ასეთი განმარტება გათვლილია ისეთ ხალხზე, რომლებიც საკითხს არ უღრმავდებიან. დავიწყოთ იმით, რომ ევროპასა და აშშ-ში არის მსგავსი კანონი, მაგრამ იქ დემოკრატიის ხარისხი ძალიან მაღალია – დასავლეთში სასამართლო დამოუკიდებელია და საარჩევნო სისტემა სრულყოფილია, თავისუფალია ბიზნესი, მედია და სიტყვის თავისუფლებაა. ეს ის ძირითადი, ფუნდამენტური უფლებამოსილებებია, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული განვითარებისთვის. ასეთ დემოკრატიულ წყობას რომ ხელი არ შეუშალოს ვინმემ გარედან ჩარევით, სწორედ ამიტომაა ეს კანონი მიღებული და რადგანაც ასეთ მაღალ დონეზეა დემოკრატიული ინსტიტუტები, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დემოკრატიის სტანდარტია მაღალი და ამიტომ სჭირდებათ ეს კანონი, რაც ლობიზმის გამჭვირვალობა და იმის ჩვენებაა, თუ საიდან მოდის წყარო.

საქართველოს კი, რომელიც ისწრაფვის ევროპული ოჯახისკენ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, წინაპირობად წაუყენეს სასამართლოსა და არჩევნების სისტემის, ადამიანის უფლებების დაცვის მოგვარება და თუ ამას არ გამოვასწორებთ, ევროპულ ოჯახში არ მიგვიღებენ. ევროპულ ოჯახში მიღება კი ნიშნავს იმ სტანდარტებს, რაზეც ვისაუბრე.

ამ კანონის მიღება მიმართული იქნება, რომ გამოცხადდეს აგენტად ის, ვინც ამ მოთხოვნებს აყენებს, ხვდებით, სად ვართ?! ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია, რომ მივდივართ ევროკავშირში და აქ იღებენ კანონს – ვინც ევროკავშირში მიდის, აგენტიაო. ეს მარაზმია!

**– ბატონო პაატა, მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონპროექტი არაა დაინიცირებული ხელისუფლების მიერ...**

– ვინც ეს დააინიცირა, ის პარტია უმრავლესობას უქმნის პარლამენტში ხელისუფლებას. იმედს ვიტოვებ, რომ გონიერება ეყოფათ ხელისუფლებაში და ამ კანონს არ მიიღებენ, მაგრამ რასაც ვხედავთ, უმრავლესობის ზოგიერთი ლიდერი ირიბ მხარდაჭერას უცხადებს. მართალია, კენჭისყრამდე არაა მისული საქმე, მაგრამ გაჩნდა შეშფოთება დასავლეთში იმიტომ, რომ „ხალხის ძალას“ არავინ აღიქვამს დამოუკიდებელ პარტიად.

**– როგორ ფიქრობთ, ამ კანონის მიღების შემთხვევაში, დასავლეთს როგორი პასუხი ექნება?**

– ძალიან მძიმედ ვუყურებ მოვლენების განვითარებას. ცოტა ხნის წინ, ბრიუსელში ვიზიტი მქონდა და მძიმე შთაბეჭდილებით ჩამოვედი, რადგან იქ არავინ აღიქვამს „ქართული ოცნების“ მხრიდან 12-პუნქტიანი გეგმის შეარულებას.

**– ესე იგი, ევროპელი პარტნიორები არ ელოდებიან საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, კანდიდატის სტატუსის მისაღებად გეგმის შესრულებას?**

– ამას არავინ ელოდება. აპრილსა და ოქტომბერში იქნება წინასწარი დასკვნები და დეკემბერში იმსჯელებენ ამ საკითხზე. რასაც ვხედავ, არავინ მოგვცემს კანდიდატის სტატუსს ასეთი მიდგომებით. ჯერ კიდევ გვაქვს დრო ახალ წლამდე, რომ გავაუმჯობესოთ ყველაფერი, დეკემბრამდე არ მგონია, მკვეთრი ნაბიჯები იყოს, მაგრამ თუ კანდიდატის სტატუსი არ მივიღეთ, დეკემბრიდან ველოდები ძალიან მძიმე მესიჯებს და ქმედებებს, რაც ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩაწერილია.

**– საუბარია სანქციებზე?**

– დეკემბრამდე სანქციებს არ ველოდები, რადგან ხელისუფლებას ვადა აქვს წლის ბოლომდე.

**– თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ და მოვლენები მართლაც ასე პესიმისტურად განვითარდა, შეიძლება, რომ დასავლეთი დისტანცირდეს საქართველოსგან?**

– ბრიუსელში, ყველა შეხვედრაზე ვამბობდი – მოგვწონს თუ არა საქართველოს ხელისუფლება, ქართველი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს-მეთქი. ბოლო გამოკვლევებით, მოსახლეობის 80%-მა დაუჭირა მხარი ევროინტეგრაციას. თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ, რეაქცია იქნება ძალიან მძიმე. დასავლეთი ჩვენზე ხელს არ ჩაიქნევს... შეიძლება, რაღაც ეტაპზე ჩაიქნიოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, არავინ აპატიებს ხელისუფლებას, რადგან აქ დასვალეთის დიდი ინტერესებია. საქართველო არის ე.წ. დერეფანი ევროპასა და აზიას შორის, ამიტომ მიდის ბრძოლა. კი, პესიმისტურ პროგნოზს ვაკეთებ, მაგრამ სჯობს, პესიმისტურად უყურო, რომ პოზიტივი მოხდეს. ამიტომ, იმედს ვიტოვებ, გონს მოეგება ხელისუფლება, თუ არადა, დამერწმუნეთ, განხორციელდება გარკვეული ქმედებები ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს დააზიანებს საქართველოს.

**– რას გულისხმობთ?**

– ევროპარლამენტის რეზოლუციიდან გამომდინარე გარკვეულ ქმედებებს.

**– ყველაფერ ამის პარალელურად, ბოლო დროს ხშირად საუბრობთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ანექსიის საშიშროებაზე... რამდენად საგანგაშოა სიტუაცია?**

– ვხედავთ, რომ უკრაინის ომში რუსეთი წაგების რეჟიმშია, ამიტომ რუსეთს სჭირდება გამარჯვების გაფორმება და აქტიური საუბარი მიდის ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნაზე, რაზეც არაერთხელ გამიკეთებია განცხადება. ახლა უკვე ღიად დაიწყო ამაზე საუბარი რუსეთის სათათბიროში – დაიბარეს სეპარატისტთა ლიდერები, ლუკაშენკო. საუბარია ბელარუსი-აფხაზეთი-ცხინვალი-დნესტრისპირეთის აღიარებასა და მიერთებაზე. ერთი სიტყვით, არის სერიოზული პრობლემები, რაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეექმნას და ეს იყო ანექსიის თემა. ამიტომ, როცა ვხედავთ, რომ ეს პრობლემა არსებობს, უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

წლებია, ვამბობ, რომ სეპარატისტთა ლიდერები ძებნილებად უნდა გამოცხადდნენ და თუ პუტინმა რაღაც დოკუმენტს მოაწერა ხელი, უნდა მოაწეროს ძებნილებთან, რათა მომავალში კითხვის ნიშნები არ იყოს. ისტორიულად გვახსოვს, 1918-21-იან წლებში, როცა აფხაზეთის მიერთება დაიწყო საბჭოთა კავშირმა, მაშინ ნოე ჟორდანიას მთავრობამ დამნაშავედ არ სცნო ისინი, რამაც ის გამოიწვია, რომ 1925 წლის ე.წ კონსტიტუცია აღადგინეს აფხაზებმა, ე.წ. დამოუკიდებლობა და ათასი სისულელე... ამიტომ, სამართლებრივი შეფასება ყოველთვის მნიშვნელოვანია. დღეს ეს უნდა გაკეთდეს, რადგან ვხედავთ, რომ ამ გზით მიდიან.

**– ბატონო პაატა, ე.წ. აგენტების კანონპროექტს რომ დავუბრუნდეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში აქტიურად განიხილებოდა ლუსტრაციის კანონის მიღება, რაც საბჭოთა აგენტურის გამოვლენას გულისხმობდა, თუმცა ეს კანონი აქამდე არ მიღებულა. დღეს კი ისე მოხდა, რომ აგენტებს არა რუსეთში, არამედ, დასავლეთში ეძებენ...**

– ლუსტრაციის კანონი უკვე დაგვიანებულია, რადგან ეს ეხება საბჭოთა კავშირის აგენტურას. „კა გე ბე“-ს აგენტურის იმ არქივებს, რომელიც იყო მოპოვებული. „კა გე ბე“-ს დროინდელი აგენტები სადღა არიან? – დაბერდნენ. თუ ვინმე უშიშროების აგენტი იყო საქართველოში, ეს სულ სხვა სისტემაა... ამიტომ, უკვე დაგვიანებულია ლუსტრაციის კანონის მიღება.

# სამხრეთკავკასიის სამი ქვეყნის ლიდერის ისტორიული შეხვედრა მიუნხენში

მაკა რუხაძე

## ამირან სალუქვაძე: „როგორ არ უნდა გიყვარდეს ქვეყანა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმებიც შიდა კინკლაობისთვის გამოიყენო?!“

**სამხრეთკავკასიის ქვეყნების ლიდერების ისტორიული შეხვედრა 18 თებერვალს, მიუნხენში შედგა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ერთმანეთს მიუნხენის უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციის პანელზე შეხვდნენ. მსგავსი ფორმატი, რომელშიც სამივე ქვეყნის ლიდერი მონაწილეობს, პირველად გაიმართა. 18 თებერვლამდე, მიმდინარე წლის იანვარში, დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელზე, ისტორიული მნიშვნელობის განცხადება აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გააკეთა. კერძოდ, მან თქვა, რომ სურდა, სომხეთის ლიდერს საქართველოში შეხვედროდა, თუმცა სომხეთი ამისთვის მზად არ აღმოჩნდა:**

**„ჩვენი წინადადება იყო, ლიდერები შევხვედროდით საქართველოში, რადგან ისტორიულად, ლიდერები იკრიბებიან საქართველოში, მაგრამ სომხეთი ამისთვის არ არის მზად“, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.**

**ამ განცხადებით, ალიევმა ყოველგვარი ირიბი გადახვევების გარეშე, პირდაპირ მიანიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია აქვს და შორს ნამდვილად აღარაა ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა რეგიონში ჰაბის ფუნქციას დაიბრუნებს. დავუბრუნდეთ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას და მის ფარგლებში გამართულ პანელურ შეხვედრას. დისკუსიაში – „როგორ უზრუნველვყოთ უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში“, ეუთოს გენერალური მდივანი ჰელგა შმიდიც მონაწილეობდა. რა საკითხები განიხილეს უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა და როგორ აფასებს ამ ისტორიულ მოვლენას ანალიტიკოსი სამხედრო, პოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებში.**

პირველივე კითხვა, რომლითაც პანელის წამყვანმა სამხრეთკავკასიის ქვეყნების ლიდერებს მიმართა, რუსეთის უკრაინაში შეჭრას ეხებოდა. კითხვაზე, რა გავლენა იქონია აზერბაიჯანზე, საქართველოსა და სომხეთზე რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ, ლიდერებმა უპასუხეს. ილჰამ ალიევის განცხადებით, ომს პირდაპირი გავლენა არ აქვს აზერბაიჯანზე, თუმცა მთელი გეოპოლიტიკური ვითარება ნამდვილად შეცვალა:

**„ამიტომ, ნაკლებსავარაუდოა, რომ ოდესმე დაუბრუნდეს იმ ნიშნულს, რაც იყო ომამდე. ცვლილებები მოხდა სატრანზიტო მარშრუტებში, რაც დამატებით შესაძლებლობებს უქმნის აზერბაიჯანსა და რეგიონს. ორი წლის წინ, ჩვენ ჩვენი ომი გვქონდა, რომელიც 44 დღე გაგრძელდა. ჩვენ ვიცით, რა ტრაგედია მოაქვს ომს ხალხისთვის. აზერბაიჯანმა და სომხეთმა უნდა აჩვენონ, რამდენად მნიშვნელოვანია მშვიდობა. ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ სამშვიდობო შეთანხმებაზე და ეს შეიძლება იყოს კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია სამშვიდობო შეთანხმებას დაასრულოს ეს ტრაგედია“.**

სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის შეფასებით, გასაგებია, რომ დიდი ხნის მანძილზე, საერთაშორისო ყურადღება მხოლოდ უკრაინაზეა ორიენტირებული, თუმცა:

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა რეგიონმაც საერთაშორისო ყურადღება მიიპყროს, რადგან ვფიქრობ, აქ ბევრი რისკია. ჩვენ ვრჩებით ჩვენი დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის ერთგულნი, რადგან გვჯერა, რომ სწორედ ეს რეფორმები გააუმჯობესებენ სიტუაციას ჩვენს რეგიონში“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ 2008 წელს, საქართველოს ჰქონდა ომი რუსეთთან და ამ უკანასკნელს ჩვენი ქვეყნის დაახლოებით, 20% ოკუპირებული აქვს, სადაც თავისი ორი სამხედრო ბაზა განათავსა:

**„რაც შეეხება ომს უკრაინაში, ეს ნამდვილად დიდი გამოწვევაა თითოეული ჩვენგანისთვის. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპა და მსოფლიო არ დამდგარა ასეთი მასშტაბის გამოწვევის წინაშე. თქვენ იცით, რომ 2008 წელს, ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ომი რუსეთთან და მას შემდეგ, რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული აქვს ჩვენი ისტორიული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რუსეთს აქვს ორი სამხედრო ბაზა ჩვენს ტერიტორიებზე და საერთო ჯამში, ომის შემდგომ, ჩვენ მუდმივად ვდგავართ გარკვეული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე. თუმცა, 2012 წელს, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გავიღეთ შექმნილი დაძაბულობის დეესკალაციისათვის. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ ქვეყნის ევროპისკენ წინსვლისთვის, ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას და მივიღეთ უვიზო რეჟიმი. ჩვენ, ყველამ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ უკრაინაში ომის შესაჩერებლად. საქართველო აცხადებს, რომ აპირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მხოლოდ მშვიდობიანი გზით! 2008 წლის შემდეგ, ჩვენ არ გვინახავს მსოფლიოში, სანქციები დაეწესებინოს რუსეთის წინააღმდეგ და ეს ცუდი სიგნალი იყო. საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. თუ ომი გაგრძელდა, ეს ნიშნავს მეტ სიკვდილს და ნგრევას, ყველა ძალისხმევა უნდა მივმართოთ ამ ომის შესაჩერებლად.**

**ამდენად, კითხვაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს ომი უკრაინაში ჩვენს ქვეყნებზე და კონკრეტულად საქართველოზე, შემიძლია გიპასუხოთ, რომ ახლა ჩვენ ვხედავთ, რუსეთი ფოკუსირებულია უკრაინაზე, სადაც მიმდინარეობს დამანგრეველი ომი. ჩვენ კი უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ეს ომი შეწყდეს. მშვიდობას არ აქვს ალტერნატივა და მინდა გითხრათ, რომ საქართველო ატარებს მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ გვაქვს მშვიდობიანი გეგმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და მადლობა მინდა გადავუხადო ეუთოს, ევროკავშირს, აშშ-ს და მედიაციის პროცესში აქტიურად მონაწილე სხვა მხარეებს. თქვენ ახსენეთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რაც წარმოადგენს ერთადერთ პლატფორმას, რომლის საშუალებითაც რუსებთან გვაქვს დიალოგი.**

**მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, ომი უკრაინაში უნდა შეწყდეს! ჩვენ უკვე გამოვცადეთ ომის შედეგები 2008 წელს: უამრავი ადამიანი დაიღუპა, დავკარგეთ კონტროლი ჩვენს ტერიტორიებზე და როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთმა განათავსა სამხედრო ბაზები ჩვენს ტერიტორიებზე. ამასთან, ეს პროცესები მიმდინარეა, არ შეჩერებულა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2008 წლის ომის შედეგად, არ დაწესებულა საერთაშორისო სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, ამის საპირისპიროდ, ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობები ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა, რაც აღქმული იყო საკმაოდ ცუდ სიგნალად. შეჯამებისთვის, ვფიქრობ რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ახლა უნდა გადაწყვიტოს, როგორ წავიდეთ წინ, რამდენადაც თუ ეს ომი გაგრძელდება, გაგრძელდება ნგრევაც და გაიზრდება სამოქალაქო მსხვერპლი. ამდენად, მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ომის შეჩერება“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ხალხს სჭირდება კეთილდღეობა, სტაბილურობა, მშვიდობა და ომით ეს არ მიიღწევა.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# სამხრეთკავკასიის სამი ქვეყნის ლიდერის ისტორიული შეხვედრა მიუნხენში

*მე-6 გვერდიდან*

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, ასევე, საერთაშორისო პარტნიორებს ესაუბრება, ყველა თანხმდება, რომ ჩვენ არ ვართ ახლა იმ მდგომარეობაში, საიდანაც შესაძლებელია უფრო ზუსტი, კონკრეტული საუბარი იმის შესახებ, თუ რა მოხდება უკრაინაში:

**„რა თქმა უნდა ამ ომის შედეგები მოახდენენ გავლენას ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა საქართველო, თქვენ ახსენეთ მოლდოვა... მოდით, პირდაპირ ვისაუბროთ ევროპული უსაფრთხოების მთლიან არქიტექტურაზე, მთელს მსოფლიოზე, ვინაიდან ამჟამად რუსეთი ცდილობს, შეცვალოს საერთაშორისო წესრიგი, წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი. მე ვთვლი და ექსპერტებიც ასე გვეუბნებიან, რომ სადღაც ორ-სამ თვეში, მეტ-ნაკლებად გასაგები გახდება, თუ სად ვიმყოფებით. თქვენ იცით საქართველოს შესახებ. 20% ჩვენი ქვეყნისა ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენ გამოვცადეთ ეს ომი 2008 წელს, ჩვენ გვქონდა, ასე ვთქვათ, „ირიბი ომი“ 90-იანების დასაწყისში, როდესაც რუსეთი მხარს უჭერდა და ეხმარებოდა სეპარატისტებს აფხაზეთსა და ოსეთში. ასე, რომ ჩვენ კარგი გამოცდილება გვაქვს. შესაბამისად, საკმაოდ რთულია იმის თქმა, თუ რა მოხდება. ვფიქრობ, დრო გვაჩვენებს, სად ვართ ახლა და სადამდე მივალთ ჩვენ, მსოფლიო, რეგიონი და ევროპა უკრაინის შემდეგ. მაგრამ უნდა გავიმეორო, რაც ვთქვი ჩემს გამხსნელ შენიშვნებში: არ არსებობს მშვიდობიანი მოლაპარაკებების ალტერნატივა. ჩვენ გავხდით იმის მოწმენი, რომ ბირთვული რიტორიკა დაბრუნდა, რაც კატასტროფულია მთელი მსოფლიოსთვის, არა მხოლოდ უკრაინისა და ევროპისთვის, არამედ, მთელი პლანეტისთვის. შესაბამისად, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ ისეთი „დიდი“ მოთამაშეები, როგორებიც არიან აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი – დასხდებიან და დაიწყებენ საუბარს პლანეტის მომავალზე“.**

მიუნხენის კონფერენციის ისტორიული შეხვედრისა და ამ შეხვედრაზე ღარიბაშვილის განცხადებას, რომ მშვიდობა უალტერნატივოა, საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, რაც პრინციპში, მოსალოდნელიც იყო. ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრის ტონი, საუბრის მანერა და შინაარსი დაიწუნა. ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, გენერალი ამირან სალუქვაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეობას და ოპოზიციონერების ქილიკს ვრცელი კომენტარით გამოეხმაურა, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

**„ერთუჯრედიანი მანიპულაციებითა და ფაქტების დამახინჯებით ცდილობენ პრემიერ-მინისტრის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ვიზიტის გაშავებას. როგორ არ უნდა გიყვარდეს ქვეყანა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმებიც შიდა კინკლაობისთვის გამოიყენო?! სიცრუე ეხება უკრაინის ომის შემდგომ პროგნოზს. ეს საკითხი ყველა მედიამ არასრულად ახსნა. წამყვანი ეკითხება, ბევრი საუბრობს, რომ უკრაინის ომის შემდეგ, შესაძლოა, რუსეთი საქართველოში შემოიჭრას, თქვენ რა მოლოდინი გაქვთო? ჯერ ერთი, წამყვანის მიერ, კითხვაში უკვე იყო ჩადებული რუსეთის სასარგებლო პროგნოზი ანუ რუსეთმა, შესაძლოა, ისე დაასრულოს ომი, რომ სხვა ქვეყანაში შეჭრის განწყობაზე იქნება, კითხვა გულისხმობს, რომ რუსეთი სტრატეგიულად არ დამარცხდება. ვიმეორებ, ეს კითხვაში ჩანს. რა უნდა ეპასუხა ღარიბაშვილს, კი, შემოიჭრებაო, თუ არა, არ შემოიჭრებაო? ან ერთი, ან მეორე პროგნოზი ადეკვატური იქნებოდა? აი, ამ კითხვის პასუხად თქვა, რომ ვნახოთ, დრო გვიჩვენებს, როგორ გამოვა ევროპა ამ ომიდან და სად იქნებაო?! ომზე საუბრისას აღნიშნა რუსეთის აგრესიაც და უკრაინის მხარდაჭერაც გამოხატა, ოღონდ მსოფლიომ ეს ომი უნდა შეაჩეროსო. უნდა ეთქვა, ომი უნდა გაგრძელდესო? სადმე თქვა, უკრაინისთვის მიუღებელი შედეგების შესახებ? – არა!**

**ეს მანიპულაციები იგივე ოპერიდანაა, უკრაინას გამარჯვება არ უსურვაო, ორი-სამი კვირის წინ რომ მოუგონეს. არადა, მაშინ თქვა: უკრაინამ უნდა აღიდგინოს სუვერენიტეტი, დაიბრუნოს ტერიტორიები და მოიპოვოს მშვიდობაო. გამარჯვება სხვა რამეა? ესაა კოლექტიური ნაცმოძრაობის, მისი მედიების, ენჯეოებისა და მხარდამჭერი სუბიექტების პრობლემა, რომ არ შეუძლიათ კვალიფიციური ოპონირება, კვალიფიციური კრიტიკა. აბა, ვიზიტის დეტალებს ხომ არ განიხილავდნენ?! ხომ უნდა გადაეფარათ სამხრეთ კავკასიის სამი ლიდერის ისტორიული შეხვედრა?! რამდენად პოზიტიური მოვლენა იყო, ბავშვიც კი მიხვდება. არც პრემიერის ორმხრივი შეხვედრების განხილვა და გაშუქება აწყობდათ. მაგალითად, შეხვედრები გერმანიის კანცლერ შოლცთან, ევროკომისიის პრეზიდენტ ფონ დერ ლიაიენთან, ეუთო-ს პრეზიდენტთან და სხვებთან. ნაცმოძრაობისთვის არც საგარეო საქმეთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრები იყო მომგებიანი. შეხვედრები კი გამართა საფრანგეთის, რუმინეთის, შვედეთის, ნიდერლანდების, ისლანდიის, საუდის არაბეთისა და ბრაზილიის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებთან.**

**„იუთუბზე“, სალომე სამადაშვილის მორიგი ინტერვიუ ვნახე უკრაინულ ტელევიზიასთან, რუსულ ენაზე, სადაც ისევ სიცრუის ტირაჟირებას ეწევა, კიდევ უფრო მეტად აზიანებს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს, ცდილობს შელახოს ქვეყნის პრესტიჟი. ევროკომისიის ბოლო შეფასების მიუხედავად ამტკიცებენ, თითქოს, საქართველო ევროპული კურსიდან უხვევს. ათასჯერაა ნათქვამი, რომ ასეთი ოპოზიცია არა უბრალოდ საზიანოა საზოგადოებისთვის, აფერხებს ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას. ფულადი რესურსები, მედიები, მართვადი ენჯეოები, პოლიტიკასთან ახლოს მყოფი ყოფილი პოლიტიკოსები, ახლა ბლოგერებად რომ იქცნენ, თუმცა პოზიტიურია ისაა, რომ პოლიტიკური რეიტინგები უნულდებათ და ეს პროცესი ბოლომდეა მისაყვანი. მოსახლეობისთვის ზემოთ აღწერილი პრიმიტიული ცრუპენტელობა აღარაა საინტერესო. შესაბამისად, თუ ბოლომდე მივიყვანთ პროცესს, ამ გამარგინალებულ ოპოზიციას, აუცილებლად ჩაანაცვლებენ სხვა სუბიექტები. ასეთი განახლების გარეშე, შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური თანაცხოვრება.**

**ზიზღისა და სიძულვილის ენა უნდა შეიცვალოს საქმიანი, კვალიფიციური დებატებით, კრიტიკით, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული ოპონირებით. ნაცმოძრაობასთან და მის მოკავშირეებთან, ყოფილ ფანჩატურელებთან ასეთი თანამშრომლობა არ გამოვა. უკვე ისევ გახშირდა მუქარები. ემუქრებიან ყველას, ვინც მათ ჭკუაზე არ ლაპარაკობს, ოღონდ ემუქრებიან მომავალ დროში, ხელისუფლებაში როცა მოვალთ, ყველას მოგეთხოვებათო. მომავალ დროში მუქარები მაგარი გორსალობა და ძალიან სასაცილოა“,** – აცხადებს ამირან სალუქვაძე.

# რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ბიზნესომბუდსმენის აპარატში

მაკა რუხაძე

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური ბიზნესომბუდსმენის აპარატის აუდიტს აქვეყნებს. საქართველოს კონსტიტუციისა და ქვეყნის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკური უფლებების დაცვას და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ უფლებების დარღვევის პრევენციას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ბიზნესომბუდსმენის, როგორც მეწარმეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამცველის, ასევე, ბიზნესსუბიექტების დარღვეული უფლებების აღდგენაში ხელშემწყობის როლი. სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ სახელმწიფო მაკონტროლებლები ბიზნესომბუდსმენის აპარატის საქმიანობით და აუდიტი, რომელიც უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, 2018-2021 წლების პერიოდს მოიცავს. დეტალურად განვიხილოთ დარღვევები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს.**

## ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის შესახებ ბიზნესსექტორი ინფორმაციას არ ფლობს?

### დარღვევები ბიზნესომბუდსმენის აპარატის საქმიანობაში

კანონის შესაბამისად, ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ბიზნესომბუდსმენის აპარატი, რომლის სტრუქტურა და საქმიანობის წესი უნდა განსაზღვრულიყო დებულებით. დებულების არარსებობის გამო, სახელმწიფო აუდიტორებმა ვერ შეაფასეს აპარატის საქმიანობა, სტრუქტურა, თანამშრომელთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება. შესაბამისად, ვერც ის გაირკვა, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება არსებული საკადრო რესურსის გამოყენება.

**„კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ან ქმედება უშუალოდ ახდენს გავლენას მეწარმის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე, იგი უფლებამოსილია, წარუდგინოს განცხადება ბიზნესომბუდსმენს. ზოგიერთ შემთხვევაში, აპარატის მიერ სრულყოფილად ვერ იქნა წარმოდგენილი განცხადებები და მათზე რეაგირების შედეგების შესახებ განმცხადებლებისათვის გაგზავნილი წერილობითი პასუხები“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამ დარღვევევების პასუხად, ბიზნესომბუდსმენის აპარატის შესაბამისმა წარმომადგენელმა აუდიტორებს განუმარტა, რომ რიგ შემთხვევებში, ბიზნესსუბიექტების მიმართვები და მათზე პასუხი ზეპირი კომუნიკაციით ხორციელდებოდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მიღებული მიმართვებისა და რეაგირებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა დოკუმენტურად დადასტურებული არ ყოფილა.

**„აქედან გამომდინარე, ვერ მივიღეთ საკმარისი დოკუმენტური რწმუნება, აპარატის მიერ მიღებულ განცხადებებზე დროული და სრულყოფილი რეაგირების შესახებ“,** – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

### ელექტრონული პორტალის ტექნიკური ხარვეზები

მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკონსულტაციო პროექტის მხარდაჭერით, 2018 წლის 1 ივნისიდან, ბიზნესომბუდსმენის ოფისთან ელექტრონულად დაკავშირების მიზნით, აპარატში ფუნქციონირება დაიწყო განცხადებების მიღების ელექტრონულმა პორტალმა. თუმცა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ტექნიკური გაუმართაობის გამო, ვერ იქნა მიღწეული მისი შექმნის მიზანი – გამარტივებულიყო მეწარმეების პრობლემების ბიზნესომბუდსმენამდე მიტანის პროცესი და, შესაბამისად, გაზრდილიყო კომუნიკაციის ეფექტიანობა.

**„განცხადების განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, ბიზნესომბუდსმენი გასცემს რეკომენდაციას ან შუამდგომლობას. მათი ეფექტიანი აღსრულებისა და აპარატის გამართული ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია ინსტიტუციური მეხსიერების არსებობა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს რეკომენდაცია/შუამდგომლობის დოკუმენტირებით. რეკომენდაციის ან შუამდგომლობის გაცემა, რიგ შემთხვევებში, დოკუმენტურად არ დასტურდება, რაც ვერ უზრუნველყოფს აპარატში ინსტიტუციური მეხსიერების არსებობას და ხელს უშლის საკითხებისადმი სისტემურ მიდგომას“.**

ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის ეფექტიანობის ინდიკატორია შედეგი: გათვალისწინებულია თუ არა მისი შუამდგომლობები და გაცემული რეკომენდაციები ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. ბიზნესომბუდსმენი უნდა ახორციელებდეს ადმინისტრაციული ორგანოსთვის გაგზავნილი რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს. იგი უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აპარატი ამას, პრაქტიკულად, არ იყენებს.

**„აპარატის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი პასუხები რეკომენდაციების ნაწილობრივ ან სრულად გაუთვალისწინებლობის შესახებ, სათანადო დასაბუთებით. შესაბამისად, გაურკვეველია, რის საფუძველზე მიიღეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გადაწყვეტილებები. აპარატის ინფორმაციით, რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის პროცესში, უმეტეს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოსთან კომუნიკაცია ხორციელდება არა წერილობითი, არამედ, ზეპირი ფორმით“.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ბიზნესომბუდსმენის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი დოკუმენტურად ვერ დასტურდება, რაც რეკომენდაციების შესრულების კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

### ხარვეზები საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობაში

ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის ცნობადობისა და აქტივობის ძირითადი კომპონენტია საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა, სამიზნე ჯგუფებთან ინტენსიური კომუნიკაცია, მათი მოლოდინებისა და საჭიროებების განსაზღვრა სხვადასხვა ტიპის კვლევებით.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ბიზნესომბუდსმენის აპარატს არ გააჩნია ინფორმაცია ბიზნესსექტორში მისი საქმიანობისა და უფლებამოსილების ცნობადობის შესახებ.

**„ბიზნესსექტორში ცნობადობის ნაკლებობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ გარკვეულ შემთხვევაში, ბიზნესომბუდსმენს მიმართავენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდება მის კომპეტენციას. ამასთან, 2018-2021 წლებში, ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ არ განხორციელებულა საკმარისი ღონისძიებები, მისი საქმიანობის ცნობადობის ამაღლების მიზნით“.**

# სამართალი

№6 22 თებერვალი 2023 წ


# როგორ აწყობენ უცხოელები თბილისში მინი-ნარკოქარხნებს

## რატომ გაიზარდა ნარკოდამოკიდებულთა სიკვდილიანობა საქართველოში

ბათო ჯაფარიძე


**წინა კვირას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა და ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში, 45 ადამიანი დააკავა. მასშტაბური სპეცოპერაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა და შსს არ მალავს, რომ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, დაკავებები კვლავ გაგრძელდეს. იმავე დღეს, სამართალდამცავებმა კიდევ სამი ადამიანი დააკავეს, რომლებსაც ასევე, ნარკოტიკების გაყიდვა ედებათ ბრალად.**

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ძალოვანი უწყებისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა, სწორედ ნარკოდანაშაულია. მას შემდეგ, რაც ნარკოტიკებთან მიმართებაში კანონდებლობა შერბილდა და დასავლეთის რეკომენდაციები გავითვალისწინეთ, შემცირების ნაცვლად (არადა, რეკომენდაციის მოლოდინი სწორედ ეს იყო), ნარკოტიკების გასაღებამ და მოხმარებამ არნახული მასშტაბები მიიღო. ისიც სათქმელია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სულ უფრო რთულდება ნარკოდილერების დაკავება და რაც მთავარია, მათთვის ბრალის წარდგენა-დამტკიცება. არცთუ დიდი ხნის წინ, ვწერდით, რომ „ბარიგები“ ნარკოტიკს დრონების საშუალებითაც კი ყიდიან ანუ ისინი ეუბნებიან კონკრეტულ ლოკაციას მყიდველს, რომელიც მიდის მითითებულ ადგილზე, ჩერდება, თავზე გადაუფრენს დრონი და უგდებს ნარკოტიკს. დრონი მიფრინავს, მყიდველი ნარკოტიკეს იღებს და მიდის. ამ დროს, დრონის თვალთვალი აზრს კარგავს, რადგან მას ნარკოდილერი, შესაძლოა, 3-4 კილომეტრიდან მართავდეს და თანაც დრონის დაკავება არაფრისმომცემია – იმის დამტკიცება, რომ საფრენი აპარატი ნარკოტიკების გადასაზიდად იყო გამოყენებული, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ აუცილებელი აღარ არის, ნარკოტიკების შემოტანა და საზღვარზე გარისკვა. შესაბამისი ფორმულის გამოყენებით, ნარკოტიკები ადგილზე მზადდება და მინი-საამქროების მოწყობა ერთოთახიან ბინაშიც კი შეიძლება. მერე რა, რომ აღნიშნული ნარკოტიკების 99.99% მომაკვდინებელია და მათი არათუ ხანგრძლივი, არამედ, ორი-სამთვიანი მოხმარებაც კი, სასიკვდილო შედეგს იწვევს. იმის გამო, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანები დიდ სასჯელს არ იღებენ, ბევრი მარტივად იწყებს გასინჯვას და სამწუხაროდ, კვლავ დამკვიდრდა ტერმინი – „უბრალოდ გავსინჯავ, არ შევჯდები“. ქიმიური ნაერთი ბუნებრივზე, ლამის, ასჯერ ძლიერია და შესაბამისად, ასჯერ მეტ დამოკიდებულებას იწვევს. აქ უკვე აღარაა საუბარი ტიპურ „ლომკაზე“, როცა მომხმარებელს ნარკოტიკის ფული აღარ აქვს და ვერ იკეთებს, აგრესიული და საშიში ხდება, წამსვლელია ყველაფერზე და ამ დროს სრულიად უკონტროლო, შეურაცხადია და არათუ გარშემომყოფი უცხო ადამიანები, ოჯახის წევრებიც კი არ ენანაება, რადგან უპრობლემოდ გაიმეტებს.

ნარკოტიკებს კუსტარულად, ძირითადად უცხო ქვეყნის მოქალაქეები ამზადებენ. საუბარია, როგორც რუსებზე, ასევე უკრაინელებსა და აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულებზეც, ამიტომაც დაკავებულთა შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სიმრავლე შეინიშნება და ესეც ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ბოლო დროს, უცხოელებზე ბინების გაქირავება საკმაოდ გაძვირდა და გამქირავებელთა უმრავლესობა ბინის გაქირავების შემდეგ, კუთვნილ ქონებას არ აკონტროლებს, არც კი ნახულობს, რა მდგომარეობაშია ბინა და მხოლოდ იმას სჯერდება, რომ თვეში ერთხელ, ანგარიშზე სოლიდური თანხა ერიცხება. ახლა კი, შსს, ლამის, ყველა გამქირავებელს აფრთხილებს, რომ ხელშეკრულებაში ჩაწეროს მუხლი, რომლის მიხედვითაც, თვეში ერთხელ ბინის დათვალიერების უფლება ექნება. ეს თითქმის გამორიცხავს კუსტარული ლაბორატორიის არსებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, უმრავლესობას ეს მუხლი ჩადებული აქვს ხელშეკრულებაში, ბინაში კი არ იხედება იმიტომ, რომ არ აინტერესებს.

რამდენიმე კვირის წინ, „ვერსიაში“ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა მომაკვდინებელ ნარკოტიკებზე, ახლა კი მათ რიცხვს „მარიხუანაც“ უნდა დავუმატოთ. ჰო, ერთი შეხედვით უწყინარი „მარიხუანა“ ის მოსაწევია, რომლის პოპულარიზაციასაც არაერთი ცნობილი სახეც კი ეწევა და სატელევიზიო ეთერებითაც ხშირად გაიგონებთ, მუზა მაშინ მომდის, როცა „მარიხუანას“ ვეწევიო. ნამდვილი, სოფლად გაზრდილი „მარიხუანა“ ქართულ ბაზარზე, უბრალოდ, აღარ არის, არ იყიდება. საქართველოში იყიდება „მარიხუანა“, რომელიც ჰიბრიდულია და ის ათასგვარი ქიმიური ნივთიერებებითაა დამუშავებულ-გაჟღენთილი. მეტიც, ადრე თუ ველური „მარიხუანას“ ფოთლებს იყენებდნენ სუნისა და გემოსთვის, ახლა ჩვეულებრივ, გამხმარ ფოთლებზე ასხამენ ქიმიურ ნივთიერებას და მწარე კვამლის დასარბილებლადაც სპეციალურ ხსნარს იყენებენ. მომხმარებელს კი უკვე ნაკლებად აინტერესებს, რას ეწევა, თავს იმშვიდებს, რომ ეწევა და არ იკეთებს, თუმცა იმას ვერ ხვდება, რომ ყველაფერი ეს, ფილტვებს არათუ ანადგურებს, არამედ, ღრმულებს უკეთებს, შემდეგ ეს ღრმულები ფართოვდება, ნახვრეტებად იქცევა და იწყება ფილტვებში წყლის ჩადგომა. თუ ყველაფერ ამას ჰიბრიდული „მარიხუანას“ მწეველი დროზე იგებს, ექიმთან მიდის და ფილვებიდან წყლის ამოტუმბვის ხანგრძლივ პროცედურას გადის, თუ არა და, ფილტვი იწყებს ლპობას და ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ფილტვების სიმსივნით სრულდება.

კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ სარეცხი საშუალებებით, უნიტაზის ჩასარეცხ-გასაწმენდი სითხეებით დამზადებული ქიმიური ნარკოტიკი იაფია და მისი ყიდვისთვის აუცილებელი არ არის დიდი ფული. 4 კაცის დოზა 100-120 ლარი ღირს და შესაბამისად, 25-30 ლარს ბევრი შოულობს, ყოველდღე თუ ვერ იშოვის, სესხად იღებს, „კონს კრავენ“ და ყიდულობენ სითხეს, რომელიც პირდაპირი გზაა საიქიოსკენ.

„უწყინარი, კლუბური ნარკოტიკი“ ნელ-ნელა ხმარებიდან გადადის, რადგან ის ქიმიურ ნაერთზე ძვირია და არცთუ ძლიერი „კაიფი“ აქვს, როგორიც კუსტარულად დამზადებულს. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის წინ, ნაძვის წიწვებისგანაც ამზადებდნენ სითხეს, რომელსაც იკეთებდნენ, მაგრამ ნაძვები სრულად გაპუტვას იმან გადაარჩინა, რომ ეს სითხე ორგანიზმს დიდხანს ვერ ადუნებდა, დღეში 4-5 დოზა იყო საჭირო და იმის მიუხედავად, რომ დოზა ძალიან იაფი, 10 ლარიც კი ღირდა, დღეში 4-5 ჩხვლეტა არავის სიამოვნებდა.

ცალკე პრობლემა გახლავთ ის, რომ ქიმიური ნაერთი ვენებს წვავს. ჰო, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, ვენები იწვება და შესაძლოა, ვენაში შეხვიდე, მაგრამ წამალი ვერ შეუშვა, რადგან ქიმიური ნაერთის გამო, ვენა ისეა დავიწროებული, სისხლს ძლივს, ან საერთოდ ვერ ატარებს და წამლის შეშვების შემდეგ სკდება. ამიტომ, ნარკოდამოკიდებულები არტერიას („პახს“) იხსნიან, მას ხვრეტენ და იქ იკეთებენ წამალს, შემდეგ სისხლისგან რომ არ დაიცალონ, დაახლოებით, ათი წუთი თითს აჭერენ გახვრეტილ ადგილს, მეორე დღეს, მოშუშებულ, თავზე მიმხმარ სისხლიან ნახვრეტს ფრჩხილით კვლავ აძრობენ, კვლავ არტერიაში იკეთებენ წამალს, შემდეგ კი იგივე პროცედურა მეორდება – თითის დაჭერა, სანამ სისხლდენა არ შეწყდება. ეს დაუსრულებლად არ და ვერ გრძელდება, ის ადგილი ლპობას იწყებს და თუ ნარკოდამოკიდებული ამას მალე ხვდება, სხვაგან იხვრეტს არტერიას, თუ არა და, ექიმთან მისვლა უწევს, რის შემდეგაც, იმ ადგილზე რჩება ღრმული, რომელიც ძალიან ჰგავს სიგარეტით ამომწვარ ნაიარევს.

უფრო სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ლიბერალური კანონი ნარკოდამოკიდებულების თაობაზე, ჯერჯერობით, გადახედვას არ ექვემდებარება და ეს მაშინ, როცა არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ და აშშ-მაც მისი არათუ გადახედვა, არამედ, გამკაცრება უკვე მოახერხეს და აღიარეს, რომ კანონის შემსუბუქებამ არ გაამართლა. მართალია, ნაარკოდილერებზე ეს შემსუბუქება არ მოქმედებს, მაგრამ წამლის სიიაფისა და რაც მთავარია, დაუსჯელობის სინდრომის გამო, ძალიან, ძალიან ბევრი ახალგაზრდა სინჯავს ნარკოტიკს და შემდეგ უკვე უკან ვეღარ იხევს – ქიმიური ნაერთი უკან დასახევ გზას, უბრალოდ, კლავს.

ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებლად მოსაფიქრებელია რაღაც, რაც ყველაფერ ამას, ცუდ შემთხვევაში, ძველ კალაპოტში მაინც დააბრუნებს, უკეთეს შემთხვევაში კი – სტატისტიკას საგრძნობლად შეამცირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმას, რომ შსს-ს თანამშრომლები კვირაში, ან ორ კვირაში ერთხელ, ფართომასშტაბიან სპეცოპერაციებს ჩაატარებენ, დააკავებენ ათეულობით ან ასეულობით ნარკოდანაშაულში მხილებულ პიროვნებას, პრობლემა კი არ მოგვარდება, პირიქით, უფრო გაღრმავდება და შესაძლოა, მერე უკვე ძალიან დაგვიანდეს.

**P.S. ნარკოტიკით გარდაცვალების შემთხვევები საქართველოში ძალიან მომრავლდა და იმის გამო, რომ ოჯახს „უტყდება“ ამბის გახმაურება – ეუხერხულება იმის თქმა, რომ მისი შვილი, და, ძმა, მეუღლე „კაიფში გაიპარა“, დიდი ხმაური არასდროს ატეხილა. არადა, პრობლემა არსებობს და თან ძალიან, ძალიან დიდი მასშტაბის, რასაც დანახვა, აღიარება და მოგვარება უნდა!**

# როგორ გაექცა დესპოტ ქმარს ცოლი

## ოჯახური ძალადობის უცნაური ისტორია

ბათო ჯაფარიძე

**მაგიდაზე მუშტის დარტყმა და იმის ძახილი, ოჯახის უფროსი მე ვარო, ჩვენში კვლავ აქტიურია. ჰო, რამდენიც უნდა ვიძახოთ, ლეკვი ლომისა სწორიაო, მაინც შემორჩენილია ოჯახში მამაკაცის კულტი და ის, რომ ოჯახის თავი აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს. ხანდახამ, ყველაფერი ეს გადამეტებულ ხასიათს იღებს და ოჯახის თავი მარტივად ხდება დიქტატორი, რომელსაც ყველა და ყველაფერი უნდა დაემორჩილოს. შემდეგ კი, როცა ეს მორჩილება იკლებს, სიტუაცია კონტრილიდან გადის, დამორჩილებულები „აჯანყებას“ აწყობენ და ყველაფერი ოჯახური ძალადობით სრულდება. ამბავი, რომელზეც ახლა გიამბობთ, მაშინ მოხდა, როცა სათვალთვალო კამერები საქართველოში მხოლოდ ბანკების შესასვლელებში იყო დამონტაჟებული და უცხო ხილი გახლდათ. სამართალდამცავებს განცხადებით მამაკაცმა მიმართა, რომელიც ცოლის გაქრობის შესახებ იუწყებოდა.**

„კვირა დღეს ტრადიცია გვაქვს – ჩვენთან ჩემი მშობლები და სიდედრ-სიმამრი მოდიან, სადილს ვამზადებთ და ყველა ერთად ვსადილობთ. ყველაფერი ეს, ოჯახის სიმტკიცეს უწყობს ხელს, სრული იდილია მაქვს და ამიტომ გამოვრიცხავ, ცოლი სადმე გაქცეულიყო. მან სადილი გაამზადა, ჩემები რომ მოვიდნენ, აღმოჩნდა, პური არ გვქონდა და ცოლი საშინაო ფორმით პურზე ჩავიდა. მაღაზია კორპუსის ქვემოთ გვაქვს, 20 წუთი რომ დააგვიანდა, მეც ჩავედი, მაგრამ ცოლი ვეღარ ვიპოვე“, – ეწერა განცხადებაში.

მაღაზიის გამყიდველმა გოგონამ, რომელიც დაკარგულ ქალს კარგად იცნობდა, თქვა, რომ უცხო არავინ და არაფერი შეუმჩნევია – ქალი მაღაზიაში შევიდა, სამი პური აიღო და დახლთან თქვა, ფული დამავიწყდა და მოვიტანო. გოგონამ უთხრა, მერე შემოიტანეთ, მაგრამ ქალმა თავი გააქნია, აღებული პურები დახლთან დაალაგა და მაღაზიიდან გავიდა, მას შემდეგ არავის უნახავს. იქვე იყო ბანკის ფილიალი, რომლის კამერებიც სწორედ მაღაზიის შესასვლელს უყურებდა და სამართალდამცავებმა ისინიც ამოიღეს. არაფერი ახალი – ქალი მაღაზიაში შედის, იქიდან, დაახლოებით, სამ წუთში გამოდის და მიდის... სახლის საპირისპირო მიმართულებით. ფეხზე – საშინაო ქოშებითაა, მოხურული აქვს ხალათი და სპორტული შარვალი აცვია, რომლითაც წესით, ქალაქში სეირნობა მიზანშეწონილი არ არის. გოგონა ამტკიცებდა, მაღაზიაში არავის გამოლაპარაკებია, აქედანაც მარტო გავიდაო, რასაც კამერების ჩანაწერებიც ადასტურებდა. მაშ, რა მოხდა ისეთი, რომ ქალმა გაშლილ სუფრაზე მიატოვა 13 წლის შვილი, ქმარი, დედ-მამა, დედამთილ-მამამთილი და უბრალოდ, გაუჩინარდა?

სამართალდამცავებმა სანათესაო და სამეგობრო შეაწრიალეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ყველა მხრებს იჩეჩდა, ოჯახზე გადამკვდარი ქალი იყოო და სწორედ ამიტომ ამტკიცებდა ქმარი, არ გაიქცეოდა, არ მიმატოვებდა, სავარაუდოდ, გაიტაცესო, მაგრამ ვერც იმას ხვდებოდა, ვის რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა მისი ცოლი, ან რა შეიძლებოდა გამხდარიყო გატაცების მიზეზი. ძალოვნებმა ქალის დედ-მამაც დაკითხეს, ცალკე, დამოუკიდებლად იკითხეს, ხომ არ ჩიოდა რამეს მათი შვილი და ისინიც არანაკლებ გაოცებულები იყვნენ, იდეალური ოჯახი ჰქონდათ, ყველაფერი რიგზე იყოო. გამოკითხეს დაკარგული ქალის თანამშრომლები, ხომ არ ჰქონდა სამსახურში ფლირტი ვინმესთან, მაგრამ ეს ძაფიც გაწყდა – ქალი არავის ეკეკლუცებოდა და არც მასზე გიჟდებოდა ვინმე, თანაც წინასწარი მომზადების გარეშე, ასე, სახლის ტანისამოსით გაქცევაც წარმოუდგენელი ჩანდა, თუმცა...

მეუღლის მტკიცებით, ისინი ფულს ახალი მანქანისთვის აგროვებდნენ. ცოლს ცალკე შეჰქონდა ბანკში თანხა, ქმარს – ცალკე და გაირკვა, რომ გაუჩინარებამდე ორი კვირით ადრე, ქალმა ანგარიში დააცარიელა. ფული არ იყო იმ ოდენობის, გაქცევას რომ დახარბებოდა, მაგრამ იმდენი ნამდვილად იყო, ქალი ყველაზე ცოტა, ერთი წელი უზრუნველად გაიტანდა თავს საქართველოს ნებისმიერ ქალაქში – ბინის ქირასაც გადაიხდიდა და არც საჭმელი მოაკლდებოდა. ძებნა მთელი საქართველოს მასშტაბით გამოცხადდა, თუმცა შედეგი ვერც ამან მოიტანა. ქალი თითქოს მიწამ ჩაყლაპა, არავინ არაფერი იცოდა. ქმარმა სახლი გადაატრიალა, ბანკიდან გამოტანილი ფული ვერსად ნახა, თუმცა ნახა აბსოლუტურად ყველა საბუთი, რომელიც ქალს გააჩნდა – დაბადების მოწმობა, პასპორტი, ქორწინების მოწმობა, დიპლომი ანუ არაფერი წაუღია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას ვერ დატოვებდა, თუ... სხვა პასპორტი არ ჰქონდა გაკეთებული, რაც მაშინ უკვე შესაძლებელი იყო და კუსტარულად დამზადებული საბუთი საზღვარზეც გადიოდა, რადგან საბჭოთა პასპორტებს, მაგალითად, მეზობელ თურქეთში კარგად არ იცნობდნენ და მაშინ თურქეთიც არ იყო ისეთი სახელმწიფო, იქ გადასვლისა და ცხოვრების სურვილი რომ ჰქონოდა ვინმეს. ეს უფრო იყო ქვეყანა, საიდანაც ევროპაში მოხვედრა ბევრად ადვილი გახლდათ, ვიდრე საქართველოდან.

როცა არსებობს დანაშაული, აუცილებლად არსებობს მოტივი. მოტივის გარეშე, დანაშაულს არავინ სჩადის. ჰოდა, გამომძიებლებიც ეძებდნენ მოტივს, რის გამოც შეიძლებოდა ქალი გაქცეულიყო, მაგრამ მას ყველა, ლამის, წმინდანად რაცხავდა, მშობლებიც კი ამბობდნენ, რომ იდეალური ოჯახი ჰქონდა, ქმარიც იგივეს გაიძახდა, თანამშრომლები, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები... ცუდი არავის დასცდენია და ყველა ერთ აზრზე იყო – ქალი საკუთარი ნებით არსად წავიდოდა. ძალოვნებმა მთელი აგენტურული ქსელი აამუშავეს, მაგრამ დაკარგული ქალის შესახებ მათაც არაფერი იცოდნენ, თუმცა... დაკარგვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ქალის დედამ გაიხსენა, როცა სტუმრად მივდიოდით, ჩემს შვილს ველაპარაკე, ვკითხე, რამე ხომ არ გინდათ-მეთქი და არა, ყველაფერი გვაქვსო. ჩვენთან კარგი თონეა, ვუთხარი, ლავაშებს წამოვიღებ-მეთქი და არა, პური უკვე ვიყიდეთ და გაგვიფუჭდებაო. მაშინ ქალს ეს არ გახსენებია, შვილზე ნერვიულობდა, ახლა კი აღიდგინა და... გამოძიება დარწმუნდა, რომ ქალი საკუთარი ნებით წავიდა სადღაც და არ გაპარულა, რადგან სახლიდან პურზე გასვლა, უბრალოდ, მიზეზი იყო. პრინციპში, სამართალდამცავებს კითხვა გაუჩნდათ, ხომ შეიძლებოდა, პურზე ოჯახის უფროსი გასულიყო და მაშინ გეგმა ჩავარდებოდა, მაგრამ მამაკაცმა გაიოცა, მე რატომ უნდა გავსულიყავი, როცა მეუღლე სახლში იყო და სუფრის გაწყობასთან ერთად, პურის მოტანაც მას ევალებოდაო. საინტერესო იყო კიდევ ერთი რამ – თუ ქალმა გაქცევა გადაწყვიტა, რატომ აირჩია კვირა დღე და რატომ წავიდა სახლიდან, პრაქტიკულად, ისეთი ტანსაცმლით, რითაც ქალაქში გადაადგილება დიდად სასურველი არ იქნებოდა? უფრო მარტივი არ იყო, სამსახურის დღეს, დილით, სამუშაოს ნაცვლად წასულიყო და მერე, 20-30 წუთში კი არ დაუწყებდნენ ძებნას, გასაქრობად 5-6 საათი ექნებოდა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ქალს შეეძლო, მას კი ვერ პოულობდნენ.

მოულოდნელი პასუხი ფოთიდან მოვიდა – ერთ-ერთი უბნის რწმუნებული ამტკიცებდა, ქალი, რომლის სურათებიც დაგვირიგეს, ფოთში ცხოვრობს, მცირე ზომის ფართი იქირავა, იქ ცხოვრობს და გემს თუ ნავს აშენებსო. სამართალდამცავები ფოთში გაემგზავრნენ და ქალს ანგარში მაშინ მიადგნენ, როცა ის საკმაოდ მოზრდილი ნავის გარეთა მხარეს ლაკს უსვამდა. როცა ფორმიანი ადამიანები დაინახა, ჯერ თავი ჩაღუნა, შემდეგ იქვე, პატარა სკამზე ჩამოჯდა და მტკიცედ თქვა – „არ დავბრუნდები!“ სამართალდამცავებმა ცოტა აცადეს, ქალმა კი მძიმედ დაიწყო:

„მომბეზრდა, ყველაფერი მომბეზრდა. მომბეზრდა ეს ტრადიციული სადილები ყოველკვირა, მომბეზრდა ის, რომ ქმარს საკვები აუცილებლად სამზარეულოში უნდა გავუწყო, ჩანგალი აუცილებლად მარჯვენა მხარეს უნდა დავუდო იმიტომ, რომ ცაციაა და დანა მარცხენა მხარეს უნდა იდოს. მომბეზრდა ის, რომ „სერვანდში“ შენახული ჭურჭელი ყოველკვირა უნდა გამოვალაგო და წვნიანი აუცილებლად დიდი ფაიფურის თასით უნდა დავდო მაგიდის შუაში. მომბეზრდა ისიც, რომ თუ ქმარი ცუდ ხასიათზეა და მე ვერ შევატყვე, ერთი გალაწუნება გამოწერილი მაქვს და მთელი საღამო ხმა არ უნდა ამოვიღო. შვილი? შვილი მიყვარს, მაგრამ ყველაფერი შემძულდა, საკუთარი თავი შემძულდა, მშობლები შემძულდა... მე არავინ მყავს, სრულიად მარტო ვარ. იდეალური ოჯახის უკან, დესპოტი ქმარი, ტრადიციებს გამოკიდებული მშობლები და მომავალში, ასევე, დიქტატორად გაზრდილი შვილი იმალება. არ მინდა დაბრუნება, არა. ამ ნავს იმიტომ ვაშენებ, რომ ზღვაში გავიდე, როცა მომინდება და ვიცურო, თავისუფლად ვიცურო. ესაა ჩემი ოცნება და ერთხელ რომ ვუთხარი ქმარს, დამცინა, მეორედ – ხელი დამარტყა და მეტჯერ აღარ მითქვამს. ჩემი ნავის ნაცვლად, თავისთვის მანქანა უნდოდა. არ დავბრუნდები-მეთქი“.

სამართალდამცავები უხმოდ გაბრუნდნენ და გადაწყვიტეს, ქალის ადგილსამყოფელი ოჯახისთვის ეთქვათ, შემდეგ კი ისინი მორიგდებოდნენ, რა და როგორ იქნებოდა. ქალი სრულწლოვანი იყო, დამოუკიდებლად მოქმედებდა, კრიმინალი არ ჩაუდენია და მისი დაკავების უფლებაც არავის ჰქონდა. ფოთიდან თითქმის გამოსულები იყვნენ, ერთ-ერთმა გამომძიებელმა რომ თქვა, ანგარში საქაღალდე დამრჩა, მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია მიდევსო და მანქანა მიატრიალეს. ანგარში შესულებს ქალი თოკზე ჩამოკიდებული დახვდათ, ჯერ კიდევ ფართხალებდა. მაშინვე ჩამოხსნეს, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს და... გადაარჩინეს. რა მოხდა შემდეგ?

ოჯახმა ქალის ადგილსამყოფელი გაიგო და ჩააკითხა, თუმცა ამბის გაგრძელება არავინ იცოდა. ამბობდნენ, კაცი საცხოვრებლად ფოთში გადავიდაო, თუმცა სიმართლე ბოლომდე ვერავინ გაიგო.

ბათო ჯაფარიძე

**ადრე ასე იყო – ოჯახები ერთმანეთს შვილების სიმრავლეში ეჯიბრებოდნენ, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ოთხი-ხუთი შვილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომაცაა, ჩვენი ბაბუა-ბებიების უმრავლესობას ბევრი და-ძმა რომ ჰყავდა და ამაყადაც ვითვლით სანათესაოს. ახლა კი... დემოგრაფიული პრობლემა ერთ-ერთი უპირველესია საქართველოში. რამდენიმე წლის წინ, იაპონელმა მკვლევარებმა იმ ერების ჩამონათვალიც გამოაქვეყნეს, რომლებსაც 2050 წლისთვის გადაშენების საფრთხე დაექმურებათ და ჩამონათვალში საქართველოცაა. რატომ? იმიტომ, რომ ოთხი-ხუთი კი არა, სამი შვილიც იშვიათობაა დღეს და ამას გარდა, საქართველოდან მუდმივად მიდიან ახალგაზრდები ბედის სხვაგან საძიებლად და უკან იშვიათად ბრუნდებიან. დაბრუნებას ვინ ჩივის, შემდეგ ოჯახებიც მიჰყავთ და ასე იცლება საქართველო ქართველებისგან, მათ ადგილს კი აქ ჩამოსულები იკავებენ და თუ ადრე ქუჩაში მიმავალ ჩინელს, ფერადკანიანს ან ინდუსს, ლამის, მთელი ქუჩა თვალს აყოლებდა, რადგან იშვიათი სანახაობა იყო, ახლა ეს, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, ქართველების კი მცირდება...**

# პრიმინალებმა შეცდომით ტყუპისცალი ძმა მოკლეს

## 90-იანი წლების სისხლიანი ქრონიკა

დედმამიშვილი ყოველთვის იმედად ჰყავს ნებისმიერს და ეს განსაკუთრებით ტყუპისცალზე ითქმის, რომელიც თითქოს თავისი დის ან ძმის ტკივილსა და სიხარულს დისტანციაზე გრძნობს და უხილავი კავშირიც აქვთ. სწორედ ამიტომ, ტყუპისცალები მუდმივად ერთმანეთს ეძებენ, ერთმანეთზე ზრუნავენ და...

„90-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით, საძმოები და შეიარაღებული ბანდები დათარეშობდნენ, ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასი ღირდა. მავანს მავანი, შესაძლოა, იმისთვის მოეკლა, რომ საქმე არაფერი ჰქონდა და ამით თავი შეექცია. ამიტომ, მკვლელობები ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული და ვფიქრობ, ახალგაზრდების გარდაცვალებასაც სწორედ მაშინ მივეჩვიეთ. ჰოდა, არ გვიკვირდა, როცა მკვლელობებზე შეტყობინება შემოდიოდა, არც უგზო-უკვლოდ დაკარგულების რაოდენობის ზრდა გვიკვირდა, ვიღაც მოკლეს, წაიღეს, დამარხეს, ან დაეზარათ და მტკვარსა თუ თბილისის ზღვაში გადააგდეს. ამიტომ, როცა განყოფილებაში, 40 წლამდე მამაკაცი მოვიდა და მითხრა, ძმა, ტყუპისცალი დამეკარგაო, არ გამკვირვებია. მით უმეტეს, მან არ დამალა, რომ მისი ძმა ბიზნესმენობდა და ბიზნესის დასაწყებად ფული კრიმინალურ დაჯგუფებას გამოართვა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

„მე და ჩემი ძმა ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, მოხუცი დედა გვყავს, 90 წლის ხდება მალე და ტრადიცია გვაქვს – მასთან ყოველდღე, რიგ-რიგობით დავდივართ, 90 წლის იუბილეზე კი ოჯახებით უნდა მივიდეთ, თუმცა ჩემი ძმა გაქრა, მესამე დღეა, არ გამოჩენილა და გული მიგრძნობს, კარგი არაფერი სჭირს. მას, ჩემგან განსხვავებით, ცოლ-შვილი არ ჰყავს, მაგრამ ერთმანეთს თითქმის ყოველდღიურად ვეხმიანებოდით, ახლა კი აღარ ვიცი, რა ვქნა“, – თქვა მოსულმა.

მანვე აღნიშნა, რომ ძმას ბიზნესში არ გაუმართლა, კრიმინალები კი საკუთარ ფულს სთხოვდნენ. ამის გამო, დაკარგულმა მანქანა გაყიდა, გაყიდა ერთოთახიანი ბინაც და ვალი გადაიხადა, მაგრამ კრიმინალები არ ეშვებოდნენ, მოგებას რომ დაგვპირდი, ის მოგება გვინდა და თან ყოველთვიურადო. ეს კი არასწორი იყო, ძმა „კანონიერი ქურდების“ ჩარევას აპირებდა, მაგრამ უბრალოდ, გაქრა. სამართალდამცავებმა მისი ძებნა დაიწყეს, თუმცა იმედი არ ჰქონდათ, რომ იპოვიდნენ. საინტერესო გახლდათ ისიც, რომ ტყუპები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ და დაკარგული ბევრად ჯანმრთელი იყო – მეორე ძმას ასთმა ჰქონდა და ინჰალატორით დადიოდა.

მომხდარიდან ერთ კვირაში, მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა, გამომძიებლის მაგიდაზე სურათი დადო და სასოწარკვეთილი ხმით თქვა – ქმარი დავკარგე. სურათიდან გამომძიებლისთვის კარგად ნაცნობი სახე იყურებოდა, მაგრამ ვერ მიხვდა, ვისზე იყო საუბარი – იმაზე, ვისაც უკვე ეძებდნენ, თუ მეორე ძმაც გაქრა?

„საუბრიდან გავიგე, რომ მეორე ძმაც დაიკარგა ანუ ის, რომელიც ჩვენთან მოვიდა და განცხადება დაწერა, მის პოვნას კი ცოლი ითხოვდა. მამაკაცი სახლიდან დილით გავიდა და არ დაბრუნებულა. ეს კი მათი 13-წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში, პირველად მოხდა. ცოლი ამტკიცებდა, რაღაც შეემთხვა, წინააღდეგ შემთხვევაში, მეცოდინებოდა, სად წავიდაო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, გამოძიებამ ძმების გაქრობა ერთმანეთს დაუკავშირა. მეორე მხრივ, თუ პირველად დაკარგულ კაცს ბიზნესი კრიმინალების ფულით ჰქონდა დაწყებული, მეორე ძმა ოფიციალურადაც მუშაობდა, ცოტ-ცოტას ტაქსაობდა, ვიღაცებს დილის 06.00 საათზე, საცხობებში არიგებდა, აქედანაც შემოსავალი ჰქონდა ანუ წვალობდა, ჯახირობდა, მაგრამ თავი გაჰქონდა და კრიმინალებთან კავშირში შემჩნეული არასდროს ყოფილა. დაკარგულის ცოლმა ისიც თქვა, მცხეთასთან საკუთარი სახლი გვაქვს, იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ეგებ, ჩემი მაზლი იქ იმალება, ან მეზობლებმა თქვან რამეო და ძალოვნებიც ძველ სატახტო ქალაქში წავიდნენ. ჭიშკარს ბოქლომი ედო და ის იყო, ძალოვნები უკან გამობრუნებას აპირებდნენ, რომ ღობის გადაღმა მეზობელი დაინახეს. ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ჰკითხეს, ძმები ხომ არ დაგინახავსო და მანაც თავი დაიქნია, გუშინ ვნახე ერთი, მაგრამ რომელი იყო, აბა, რა ვიცი, მაგათ მგონი, დედაც ვერ არჩევსო. სამართალდამცავები ღობეზე გადაძვრნენ, სახლს შემოუარეს, გარედან დაათვალიერეს და შესასვლელი კარის სახელურიც ჩამოწიეს. კარი გაიღო და ძალოვნები სახლში შევიდნენ. სამზარეულოში, იატაკზე, მამაკაცის გვამი ეგდო. უდაო გახლდათ, გარდაცვლილი ტყუპებიდან ერთ-ერთი იყო, მაგრამ ცოლს უნდა ამოეცნო. ასაკის გამო, დედა ვერ მოახერხებდა გაეგო, რომელი შვილი გარდაეცვალა. ქალმა გარდაცვლილში საკუთარი მეუღლე ამოიცნო.

„ექსპერტიზის დასკვნით, მამაკაცი ნაცემი იყო, მაგრამ ცემის შედეგად არ მომკვდარა. მას ასთმის შეტევა ჰქონდა და იმის გათვალისწინებით, რომ ინჰალატორი, დამტვრეულ მდგომარეობაში, ჯიბეში ედო (სავარაუდოდ, ცემის დროს გაუტეხეს), უბრალოდ, გაიგუდა. მეორე ძმის კვალი არსად ჩანდა, თუმცა თითქმის დარწმუნებულები ვიყავით, რომ კრიმინალებმა ჩასაფრება სწორედ მას მოუწყვეს, შემდეგ შეეშალათ და ხელში ტყუპისცალი შერჩათ, რომელმაც სანამ დაამტკიცა, ვინ იყო, მანამ ინჰალატორი გაუტეხეს და სასიკვდილოდ გაწირეს. შემდეგ, გვამი სახლში დატოვეს, კარზე ბოქლომი დაკიდეს და გაქრნენ. მეორე ძმა სასწრაფოდ უნდა გვეპოვა, თორემ თუ კრიმინალები დაგვასწრებდნენ, მასაც მოკლავდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გაჩნდა ეჭვი, რომ ტყუპისცალის გასვენებაში დაკარგული აუცილებლად გამოჩნდებოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა არ ჰქონდა დატოვებული, რისი მოხერხებაც მაშინ სამაჩაბლოს ან აფხაზეთის გავლით პრობლემას არ წარმოადგენდა. სავარაუდოდ, ამის იმედი ჰქონდათ კრიმინალებსაც და გასვენებისთვის ისინიც თავხედურად ემზადებოდნენ ანუ სურდათ მეორე ძმა გასვენებიდან გაეტაცებინათ. ამიტომ, ყველა ყურადღებით იყო – ძალოვნებიც და კრიმინალებიც. გასვენებაში ბევრი ხალხი მივიდა, პატიოსან კაცს ყველა გულწრფელად ტიროდა და ხალხის ტალღაში, მის ძმას ცალკე მილიცია ეძებდა, ცალკე – კრიმინალური ბანდის წევრები.

„ტყუპისცალი მე შევამჩნიე, ლაბადა ეცვა, თავს მალავდა, მაგრამ ისე არა, რომ ვერ გეცნო. ყველაფერი გააკეთა, რათა ის კრიმინალებს დაეჭირათ და არა ჩვენს თანამშრომლებს. მათ იქვე მდგარი მანქანისკენ წაიყვანეს და ის იყო, უნდა ჩაესვათ, ჩვენც მივადექით, ძმამ მანამდე ლაბადის ჯიბეში ჩადებული ხელი ამოიღო და „ლიმონკას“ რგოლი შეხსნა. შეშინებაც კი ვერავინ მოასწრო, ჩემი რამდენიმე თანამშრომელი ინსტიქტურად მიწაზე დაწვა, მეც დავწექი, მან კი კრიმინალები ჩაბღუჯა და „ლიმონკა“ ფეხებთან დააგდო. აფეთქებას ამაოდ ველოდით, არ აფეთქდა. ჰო, ხდება ასე, ასში ან ათასში ერთხელ და იქ მოხდა, სწორედ. ყველა დავაკავეთ, „ლიმონკა“ კი გამნაღმველებმა ფრთხილად აიღეს და როგორც მერე თქვეს, კრწანისში, მინდორში ააფეთქეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„ვალი პატიოსნად გადავიხადე, ესენი კიდევ მაწვებოდნენ, ამ ფულით მოგება უნდა მიგვეღოო, რა მოგებაც უნდა მიგვეღო, იმას მაინც გადაგვიხდი და თან ყოველთვიურადო. „კანონიერი ქურდების“ ჩარევა მინდოდა საქმეში, მაგრამ ამათ გასაჩერებლად არარეალური თანხა მომთხოვეს და უბრალოდ, გავიქეცი, დავიმალე, ჩემ ძმასაც არაფერი ვუთხარი, რადგან როცა არაფერი იცი, მშვიდად გძინავს. მან, ალბათ, იფიქრა, რომ მცხეთის სახლში ვიყავი, იქ მივიდა და ამათ გადაეყარა. სანამ ეტყოდა, ვინ იყო, მანამდე სასტიკად სცემეს, მერე კი, როცა ასთმის ინჰალატორი გაუტყდა, ყველაფერი დასრულდა“, – განაცხადა ძმამ.

კრიმინალური დაჯგუფების წევრებიდან სასამართლომდე მხოლოდ ერთი მივიდა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო გაუფრთხილებლობით მკვლელობა, აქაოდა, მარტო ვიყავი და მევალე ამერია, ჩემი ვალის ამოღება მინდოდაო. სასამართლომაც... 5 წელი აკმარა და ყველაფერი ეს, საძმოს ჩარევის გარეშე არ მომხდარა. ერთწლიანი ციხე მისცეს გარდაცვლილის ძმას – ფეთქებადი ნივთის შეძენა-შენახვა-ტარებაზე.

## რეჯებ თაიფ ერდოღანმა თურქეთში მომუშავე მაშველებს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რეჯებ თაიფ ერდოღანი, ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში ჩავიდა, სადაც ქართული სამაშველო ჯგუფის წევრები სხვადასხვა ქვეყნის სამაშველო სამსახურებთან ერთად აწარმოებენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს პირადად შეხვდა და სამაშველო ღონისძიების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

რეჯებ თაიფ ერდოღანმა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ სამაშველო ჯგუფებს მადლობა პირადად გადაუხადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები ჰათაის პროვინციაში, ქალაქ ანთაქიაში, თურქულ მხარესთან კოორდინაციით, ამ დრომდე ახორციელებენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს.

ქართული სამაშველო ჯგუფი თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება.

## სტრატეგიული მილსადენების დაცვისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსი გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ციხისჯვრის ბაზაზე, სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსის დახურვის ღონისძიება გაიმართა.

სტრატეგიული მილსადენების დაცვისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების ხელმძღვანელმა პირებმა სწავლების მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადასცეს.

სასწავლო კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა. სწავლებას პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორები უძღვებოდნენ.

საბაზისო სამკვირიანი სასწავლო კურსი დაბა ბაკურიანში მიმდინარეობდა. ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლეს თოვლში თავშესაფრის მოწყობა და განსაკუთრებულად ცივ პირობებში მოქმედება, გადაადგილება თხილამურებითა და თოვლზე სასიარულო სპეციალური საშუალებებით, ზვავში მოყოლილი ადამიანის ძიების მეთოდები, დაშავებულის ამოყვანა და ევაკუაცია.

სასწავლო კურსის მიზანი იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომელთა სამთო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება.

## პოლიციამ საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნისა და ორგანიზების გაწევის ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს და ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან და აშშ-ის საელჩოს დიპლომატიური უსაფრთხოების საზღვარგარეთ წარმოებული კრიმინალური გამოძიების სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და ქუთაისში სამი პირი დააკავეს.

საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების არაერთგზის შექმნისა და ორგანიზების ბრალდებით დაკავებული არიან: 1984 წელს დაბადებული ნ.ვ., 1991 წელს დაბადებული ნ.დ. და 1990 წელს დაბადებული ნ.ბ.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა ნ.ვ.-მ შექმნა ტურისტული კომპანია, რომელიც ორგანიზებას უწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს მოქალაქეების უკანონოდ გამგზავრებას და იქ დარჩენას. ნ.დ. და ნ.ბ. აღნიშნულ კომპანიაში იყვნენ დასაქმებული.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულები ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლის მსურველ პირებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, შესაბამის დოკუმენტაციას უმზადებდნენ, რის შემდეგაც, სხვადასხვა ქვეყნის გავლით ახდენდნენ მათ ტრანსპორტირებას აშშ-ის საზღვართან, საიდანაც საქართველოს მოქალაქეები უკანონოდ გადადიოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამართალდამცველებმა განახორციელეს ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, რის შედეგადაც დადასტურდა დაკავებულთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულების სამუშაო ოფისებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო ფულადი თანხა, დოკუმენტები, კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე სეკუნდა მუხლით მიმდინარეობს, რაც საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნასა და ორგანიზებას გულისხმობს.

## ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში დასრულდა

ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში დასრულდა. ვიზიტის ფარგლებში, ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესმა და ესპანეთის დელეგაციის წევრებმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვახტანგ გომელაურთან შეხვედრა გამართეს.

მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს. შეხვედრის ფარგლებში, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს – „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“.

მხარეებმა ასევე განიხილეს მხარეთა შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების გაფორმების საკითხი. ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, დელეგაციასთან ერთად, მომსახურების სააგენტოს ეწვია, სადაც ესპანელი სტუმრები გაეცნენ მომსახურების სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას, ქართული მართვის მოწმობების კატეგორიებსა და გაცემის წესს, აგრეთვე იმ სერვისებს, რომლებსაც სააგენტო მოქალაქეებს სთავაზობს.

ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში დასრულდა.

## ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი მომსახურების სააგენტოს ესტუმრა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესი, დელეგაციასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ეწვია.

მომსახურების სააგენტოში სტუმრებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზმა, მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ბესიკ ტეფნაძემ და სააგენტოს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს. დელეგაციას თან ახლდა საქართველოს ელჩი ესპანეთის სამეფოში ილია გიორგაძე.

ესპანეთის დელეგაციის წევრები ადგილზე გაეცნენ მომსახურების სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას, ქართული მართვის მოწმობების კატეგორიებსა და გაცემის წესს, აგრეთვე იმ სერვისებს, რომლებსაც სააგენტო მოქალაქეებს სთავაზობს. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურა.

ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა. ვახტანგ გომელაურმა მხარეთა შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების გაფორმების საკითხზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ქართული მართვის მოწმობების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია განხორციელდა.

# ის არ თამაშობს მარადონას სტილში, ის კვარაცხელიაა

„ნაპოლის“, ქართველის სანაცვლოდ, 150 მილიონს შესთავაზებენ. ხვიჩა კვარაცხელიას ფასი კვირიდან კვირამდე იზრდება. ქართველი ფეხბურთელი, პრაქტიკულად, ყოველ შეხვედრაში ახერხებს ისეთი რამ გააკეთოს, რაც მანამდე არ უქნია და ამიტომაც, სპეციალისტები მისით აღფრთოვანებას არ მალავენ. აგერ, 17 თებერვალს, „სასუოლოსთან“ გამართულ შეხვედრაში, კვარაცხელიამ სოლო-რეიდი განახორციელა. ბურთი ცენტრიდან წაიღო და საოცარი სილამაზის გოლიც გამოუვიდა.

**„ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ხვიჩა კვარაცხელიას მიუძღვის, რომელმაც ცენტრიდან დრიბლინგი პეპელას სიმსუბუქით დაიწყო და საოცარი გოლით დააგვირგვინა“,** – იტყვის მატჩის შემდგომ „ნაპოლის“ თავკაცი, ლუჩანო სპალეტი.

სხვათა შორის, აღნიშნულ მატჩში, ნეაპოლელთა ყველა ფეხბურთელს ლოყაზე წითელი ლაქა ჰქონდა. ეს იმის აღსანიშნავად, რომ „ნაპოლის“ ფეხბურთელები ქალებსა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებლად სოციალურ კამპანიას უერთდებიან. იტალიის ჩემპიონატის კლუბები ამ აქციაში 2018 წლიდან არიან ჩართულნი, თუმცა ისევ ქართველს დავუბრუნდეთ.

„ნაპოლის“ შანსი აქვს, 1990 წლის შემდეგ პირველად მოიგოს „სკუდეტო“. ნეაპოლელები უახლოეს მდევარს 15 ქულით უსწრებენ, რაც ძალიან კომფორტული უპირატესობაა და დარჩენილ 15 ტურში, სასწაული უნდა მოხდეს, სპალეტის შეგირდებმა ოქროს მედლები ხელიდან რომ გაუშვან. ეგ კი არა, ნეაპოლელები ჩემპიონთა ლიგაზეც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად მოიაზრებიან, რადგან ძალიან, ძალიან გამართულ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, რაც უპირველესად, სწორედ კვარაცხელიას დამსახურებაა. 21 თებერვალს, თბილისის დროით, შუაღამის 00.00 საათზე, „ნაპოლი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ 1/8-ფინალურ შეხვედრაში,

გერმანიაში, „აინტრახტს“ სტუმრობს და ყოველნაირი ლოგიკით, ¼-ფინალის საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. მანამდე კი...

**„ზაფხულის სატრანსფერო სეზონში „ნაპოლის“ ორ ფეხბურთელზე – ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენზე ნადირობა დაიწყება. აურელიო დე ლაურენტისი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ქართველი გარემარბი ხელშეუხებელია, მაგრამ ესპანური მედიის ცნობით, კვარაცხელიას შესაძენად, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა 150 მილიონი ევრო უკვე გადადო და ამ წინადადებაზე დე ლაურენტისს უარის თქმა ძალიან გაუჭირდება. რაც შეეხება ოსიმენს, რომელიც კვარაცხელიაზე ძვირად ფასობდა, მას ნეაპოლელები, სავარაუდოდ, 120 მილიონად შეელევიან“,** – წერენ იტალიელები.

იტალიური მედია კვარაცხელიას აგენტის, მამუკა ჯუღელის კომენტარსაც ავრცელებს, რომელშიც ის ამბობს, რომ ხვიჩა ნეაპოლში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და ამ ეტაპზე, არსად წასვლას არ განიხილავს. ისე კი, კვარაცხელიას არაერთხელ უთქვამს, რომ მისი ოცნების გუნდი... მადრიდის „რეალია“.

# საქართველოს ნახევარფინალში რუმინეთი ელის

რაგბი-ევროპის ჯგუფური ეტაპი დასრულდა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მეორე ჯგუფის მეორეადგილოსან რუმინეთს, 5 მარტს უმასპინძლებს. ამ წყვილში გამარჯვებული, რაგბი-ევროპის წლევანდელი გათამაშების ფინალში, პორტუგალია-ესპანეთს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ყოველნაირი ლოგიკით, ჩვენ რუმინელები უნდა დავჯაბნოთ, პორტუგალიამ კი ესპანეთს უნდა მოუგოს და... ფინალური შეხვედრა ესპანეთში რომ გაიმართებოდა, იმთავითვე გადაწყვეტილი იყო.

**„ევროპული რაგბის მამებს სურთ, საქართველოს ჰეგემონიასა და ამბიციებს ბოლო მოუღონ. ამიტომ შეცვალეს ფორმატი და ახლა ცდილობენ ბორჯღალოსნებს ფეხი დაუცდეთ. თუ რუმინეთი ვერ დაამარცხებს საქართველოს, მაშინ პორტუგალიის ჯერი მოვა და ფინალური შეხვედრა ესპანეთში სწორედ ამიტომ დაიგეგმა – ეს ქვეყანა პორტუგალიის მეზობელია და სტადიონს სწორედ პორტუგალიელი გულშემატკივრები გაავსებენ“,** – წერს ევროპული მედია.

იმედია, ჩვენი ნაკრები ევროპული რაგბის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გააწბილებს და ისევ დაამტკიცებს, რომ ექვს ერში თამაშის ღირსია და ეს კარი ჩვენთვის რაც შეიძლება მალე უნდა გაიღოს.

# კალათბურთელებმა ისტორია უნდა დაწერონ




საქართველოს საკალათბურთო ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ორი შეხვედრისთვის ემზადება. მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს უთამაშია და ამის გაკეთების შანსი ილიას ზუროსის შეგირდებს სწორედ ახლა აქვთ. დარჩენილი ორი შეხვედრა 23 თებერვალს, ნიდერლანდებში გაიმართება, სამი დღის შემდეგ კი, 26 თებერვალს, თბილისში ვთამაშობთ. მთავარი, სწორედ თბილისური მატჩია.

მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ჩვენს ჯგუფში უკვე განაღდებული აქვთ ესპანეთსა და იტალიას, დარჩენილი ერთი საგზურისთვის კი საქართველო და ისლანდია იბრძვიან. თეორიული შანსი აქვს უკრაინასაც, მაგრამ იმდენად თეორიული, რომ სასაუბროდაც არ ღირს. რაც შეეხება ისლანდიასა და საქართველოს. ორივე ნაკრებს, ამ ეტაპზე, 12-12 ქულა აქვს. 23-ში, საქართველო ნიდერლანდებს სტუმრობს, ისლანდია კი უმოტივაციო ესპანეთს მასპინძლობს. რეალურად, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მოიგებს საქართველო ნიდერლანდებთან, ან დამარცხდება თუ არა ისლანდია ესპანეთთან, მთავარი შეხვედრა 26 თებერვალს, თბილისშია, ისლანდიასთან. სწორედ ამ მატჩში გამარჯვებული მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს და ძალიან, ძალიან გვინდა, რომ ეს ჩვენი გუნდი იყოს.

ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია და მათი ფასი 15, 20, 25, 30, 35, 45 და 60 ლარია.

# ლობჟანიძე კარიერას ისევ თურქეთში გააგრძელებს

მოგეხსენებათ, თურქეთში მომხდარი მიწისძვირს გამო, საფეხბურთო კლუბი „ჰატაიასპორი“ თურქულ სუპერლიგას ჩაეხსნა და ეს მოსალოდნელიც იყო. კლუბის რამდენიმე ფეხბურთელი მძიმედ დაშავდა, ორი მათგანი გარდაიცვალა, დაიღუპა კლუბის სპორტული დირექტორი და კლუბს არ შერჩა არანაირი ინფრასტრუქტურა. ჰოდა, ახლა „ჰატაიასპორის“ ხელმძღვანელობა იმას ცდილობს, ფეხბურთელები, რომლებიც ჰყავს, სხვადასხვა კლუბებში გაანათხოვროს, რათა მათ ხელფასი მაინც არ უხადოს. განათხოვრებულთა შორის, ყველაზე დიდი მოთხოვნა საბა ლობჟანიძეზე იყო. საქართელოს ნაკრების გარემარბის დამატება არაერთ კლუბს სურდა, თუმცა მან „კარაგიუმრიუკი“ არჩია, გუნდი, რომელიც 26 ქულით, თურქეთის ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა და ევროთასებზე გასასვლელად იბრძვის.

როგორც გვითხრეს, ლობჟანიძემ ეს არჩევანი ერთადერთი მიზეზით გააკეთა – „კარაგიუმრიუკს“ იტალიის ნაკრებისა და მილანის ლეგენდა, „იუვენტუსის“ ყოფილი დამრიგებელი, ანდრეა პირლო წვრთნის და მის ხელში მუშაობა საბასთვის ურიგო ნამდვილად არ იქნება. თანაც, თუ ლობჟანიძე ახალ გუნდში თავს გამოიჩენს, პირლოს მარტივად შეუძლია მასზე რეკომენდაცია იტალიურ კლუბებს მისცეს, ანდრეას სიტყვა კი აპენინებზე ჭრის.

# თელ-ავივში ქართული ჰიმნი ორჯერ დაუკრეს

თელ-ავივში, ძიუდოისტთა შორის, მორიგი გრანდ-სლემი გაიმართა. საქართველოდან ისრაელში სრული შემადგენლობა არ იყო წასული, მაგრამ ვინც იყვნენ, სავსებით საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ აღთქმული მიწიდან ოქროს ორი მედალი წამოგვეღო და მამაკაცებს შორის, გუნდური პირველი ადგილი დაგვეკავებინა.

თელ-ავივში ქართული ჰიმნი ჯერ მაშინ დაუკრეს, როცა -66კგ. კატეგორიაში მოჭიდავეები გავიდნენ ტატამზე. ვაჟა მარგველაშვილმა პირველობა არავის დაუთმო და ტურნირი ლამაზად მოიგო. ამავე წონაში, ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წააგო ლაშა ნადირაძემ, რომელიც ორხან საფაროვთან დამარცხდა და რომ მოეგო, ისრაელში, ქართულ ფინალსაც ვიხილავდით. სამაგიეროდ, ლაშას ჯავრი მარგველაშვილმა იყარა, თავად ნადირაძემ კი ბრინჯაოს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და -66კგ-ში, კვარცხლბეკზე ორი ქართველი დადგა.

-90კგ-ში, ძალიან დამაჯერებელი იყო ბექა ღვინიაშვილი. მან ფინალამდე მეტოქეები ერთი-მეორის მიყოლებით დაამარცხა, ოქროსთვის კი გამოცდილ უნგრელს, კრისტიან ტოტს დაეჭიდა. შეხვედრა დაძაბული გამოვიდა, გასაგებ მიზეზთა გამო, ბექას დარბაზის მხარდაჭერა არ აკლდა და მანაც გულშემატკივარი არ გააწბილა – „უნგრული ტოტი“ ლამაზი იპონით მოტეხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დამსახურებულად ავიდა.

# ჯორდანმა საკუთარ დაბადების დღეზე 10 მილიონი დახარჯა

ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებული, არაერთი ვერსიით, მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი მაიკლ ჯორდანი, 17 თებერვალს, 60 წლის გახდა. კალათბურთის ლეგენდა არ მალავდა, რომ ამ დღის აღნიშვნა განსაკუთრებულად სურდა და სოლიდური თანხის დახარჯვასაც აპირებდა. საუბარი მილიონებზე იყო და ამერიკული გამოცემები დიდ ფულს იხდიდნენ იმის გასაგებად, სად გადაიხდიდა გრანდიოზულ წ ვეულებას მაიკლი, მან კი...

**„Make A Wish – საქველმოქმედო ორგანიზაციისა, რომელიც 2-დან 18 წლამდე ბავშვებს ეხმარება. სწორედ იმ ბავშვებს, რომლებიც უმძიმეს დაავადებებს ებრძვიან და მათ ოცნებებს უსრულებს. ოცნებებს, რომლებიც აქვთ და რომლებიც სწორედ დაავადების გამო, შესაძლოა, ვერ განახორციელონ, ვერ მოასწრონ. გადავწყვიტე, ჩემი 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამ ფონდს 10 მილიონი დოლარი გადავურიცხო“,** – განაცხადა ჯორდანმა და სიტყვაც აასრულა – საკუთარ დაბადების დღეზე არნახული თანხა დახარჯა.

Make A Wish-ის წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ ორგანიზაციის არსებობის 43-წლიან ისტორიაში, ერთჯერადად ამხელა თანხა ფონდისთვის არასდროს, არავის შეუწირავს.

# კასპში არაბული სოფელი შენდება

ანი სარდლიშვილი

## როგორ უნდა შეჩერდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა – ინტერვიუ ვაჟა ოთარაშვილთან

**კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის სიახლოვეს არაბების სოფელი შენდება – ინვესტორებმა 11 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი უკვე შეიძინეს. აღნიშნულ მონაკვეთზე 134-სახლიანი სოფელი გაშენდება. ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელში დაგეგმილი უკანონო მშენებლობა გააპროტესტა, შეაგროვა ხელმოწერები და დასახმარებლად ყველა უწყებას მიმართა, გაიმართა სასამართლოც, სადაც ქართულმა მხარემ არაბების წინააღმდეგ ბძოლა წააგო. მიწის გასხვისების შემთხვევები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებზე საკმაოდ ხშირია. უამრავი უცხოელი, რომელიც საქართველოში ჩამოდის, ქართულ მიწებს ყიდულობს და მკვიდრდება. რა მდგომარეობაა დღეს კასპის მუნიციპალიტეტში და როგორ უნდა ვებრძოლოთ ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისებას? – „ვერსია“ პოეტს, პროფესორ ვაჟა ოთარაშვილს ესაუბრა, რომელიც ქვემო ჭალის მკვიდრია:**

– ევროკავშირში შესვლის 12-პუნქტიანი გეგმის გარდა, დამატებით კიდევ არსებობს მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს ჩვენი მიწების გასხვისებას უცხოელებზე. ეს ისეთივე მიუღებელია ქართული სახელმწიფოსთვის, როგორც მათი მოთხოვნით „ლიბერასტული“ და სოდომისტური პოლიტიკის დაშვება. უნდათ, რომ ქართული მიწების თავისუფლად გასხვისდეს უცხოელებზე. აქედან გამომდინარე, არა მარტო კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში, არამედ, სრულიად საქართველოში მასობრივად ხდება ეკონომიკის სამინისტროს ყაჩაღთა ბანდის, ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოკალათებული მაფიოზური ძველი კლანების მიერ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის კატეგორიის შეცვლა და გადაკეთება არასასოფლო-სამეურნეო მიწად, შემდგომ კი ჩალის ფასად გაყიდვა უცხოელებზე, კერძოდ, არაბებზე, ინდოელებზე, ირანელებზე, თურქებზე, ეგვიპტელებზე და ა.შ. რომ შევამოწმოთ napr.gov.ge-ზე, თუ ვის მფლობელობაშია საქართველოს მიწა-წყალი, ვნახავთ, რომ საქართველოს დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ყველაზე დიდი საფრთხე და საშიშროებაა ქართული სახელმწიფოსათვის, კომპაქტური დასახლებები ჩნდება არა მარტო თბილისის გარშემო, არამედ, სხვადასხვა რაიონში. ავიღოთ, თუნდაც სოფელ ჯუგაანის მაგალითი კახეთში, ასევე, ბაზალეთის ტბის გარშემო, სადაც უკვე 5 არაბული სოფელი შენდება, ანალოგიური სიტუაციაა კასპის რაიონში, სადაც სოფელ ქვემო ჭალაში, სამთავისის დედათა მონასტრიდან 2 კილომეტრში, უნდათ, არაბული სოფელი ააშენონ. იგივე მდგომარეობაა ქვათახევის მონასტრიდან ორიოდე კილომეტრში, ისტორიულ სოფელ წინარეხის მიმდებარედ, სადაც 170-სახლიანი ეგვიპტურ-არაბული სოფელი უნდა გააშენონ.

რაც შეეხება ქვემო ჭალას, ეს მიწები, სადაც იყო საძოვარი, მეცხოველეობის ფერმა, ტყის მასივი, სახნავ-სათესი, 2017 წლის 6 მარტს, ეკონომიკის სამინისტროს ყაჩაღთა ბანდამ გადააკეთა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად და შემდგომ უკვე მიჰყიდა უცხოელებს. ზუსტად გეტყვით მათ გვარ-სახელებს, გაიტანეს აუქციონზე და ვინმე, 29 წლის გოგომ, ინგა კურტანიძემ იყიდა, რომელიც ანალოგიურ ქმედებას ეწევა მთელ საქართველოში და შემდგომ ინგასგან ხდება არაბებზე გადაყიდვა. ეს არის შპს „ალმორუჯი“, რომლის 34%-იან წილს ფლობს ფაჰარ ლუაი კარიმ ალ ბაღდადი, 33%-ს – ალთოვერკი აბდულელაჰ აბბადი და ასევე, 33% -იან წილს – ალშაჰრანი ჰუსსაინ ამერ ჰ. აი, ეს სამი ადამიანია მფლობელი ამ მიწის ნაკვეთის.

მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს, მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს და აბსოლუტურად ყველა უწყებას, რომ საქმე თვალთმაქცურ გარიგებებთან გვაქვს, ხორციელდება საქართველოს მოქალაქის, ინგა კურტანიძის მიერ ამ ნაკვეთების ყიდვა და შემდეგ დანაწილება საუდის არაბეთის მოქალაქეებზე. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების უპირობო ბათილობის საფუძველს – კანონის გვერდის ავლით, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება ხდება ისე, რომ ბიუჯეტშიც არაფერი შედის. ქვემო ჭალაში 11 ჰექტარი, დაახლოებით, 55-58 ათას დოლარად გაიყიდა...

ინტერნაციონალური დასახლებების მოდელს ანხორციელებენ, თან ზუსტად ისტორიულ ადგილებზე, იქ – ქვათახევის მონასტერია, აქ – სამთავისის დედათა მონასტერი, ეს არ არის შემთხვევითი. დემოგრაფიულად ვართ უმძიმეს მდგომარეობაში, ქვეყნიდან გაედინება დიდი ნაწილი ქართული მოსახლეობის, სოფელ ქვემო ჭალაში და სამთავისში არაბების ჩამოსახლების შემდეგ, ამ სოფელს გადაუვლიან დემოგრაფიულად, რასაც დღეს ვერ გრძნობს ხელისუფლება, ხვალ, ზეგ ეს არაქართული მოსახლეობა სხვადასხვა ხერხით აგრძნობინებს. მაგალითად, ინგა კურტანიძესთან ვიღაც ხელს მოაწერს და იტყვის, რომ ეს ჩემი მეუღლეა, ვიღაც ბინადრობის უფლებას მიიღებს ფულით და ეს არაქართული, სულ სხვა მენტალობის და სულ სხვა აღმსარებლობის ძალა შექმნის პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დაამხობს ქართულ ხელისფულებას. „ნაცქოცური“ იქნება თუ სხვა ხელისუფლება, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ამის საშიშროების წინაშე ვდგავართ და ამის მაგალითია ბულგარეთში თრაკეა, სადაც პროთურქული ორიენტაციის პარტიამ გაიმარჯვა და მოითხოვს თრაკიის თურქეთთან შეერთებასა და ავტონომიას. ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში, როდესაც კატასტროფული, დემოგრაფიული სიტუაციის გამო, ქართველი ერი სისხლისგან იცლება და მასობრივად ქართულ მიწას ვუყიდით არა მარტო დღევანდელ საქართველოს, არამედ, იმ მომავალ თაობასაც, რომელიც უნდა დაიბადოს. ეს სახელმწიფო დონის დანაშაულია!

ქართული მიწების გასხვისება ზენიტში იყო ბენდუქიძის დროს, ამას მოჰყვა სააკაშვილის მიერ, სამი დღის განმავლობაში, 30 ათას თურქზე საქართველოს მოქალაქეობის მიცემა აჭარაში, რამაც უდიდესი უარყოფითი როლი ითამაშა ჩვენს ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ეს პროცესი უკვე ეკონომიკის მინისტრის, ნათია თურნავას დროს, თავიდან ავიდა პიკზე, გახარიას პრემიერობის დროს კი ნამახვანჰესი 121 ლარად გაასხვისეს. ბენდუქიძის მოადგილე იყო ნინო ენუქიძე, რომელიც ქონების მართვის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხანიშვილია, ძველი მაფიოზი და ა.შ. პირდაპირ ვიტყვი, ესენი არიან ყაჩაღთა ბანდა! ტელევიზიით არაერთხელ ვუთხარი, ვინც ჩამოგითვალეთ მათ და კიდევ სხვებსაც, რომ შეუძლიათ, თუ აქვთ ნამუსი, დამისხდნენ ტელეეთერში, ნებისმიერი ტელევიზიით და საბუთებით დავუმტკიცებ, რომ ესენი არიან ქართული მიწის გამყიდველები. ჩვენ მომავალ თაობას, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას როგორ უყიდიან?! ეს არის რეალობა, 10 წლის შემდეგ, თუ პროგნოზს გავაკეთებთ, მივხვდებით, რომ უმძიმესი სიტუაციის წინაშე აღმოვჩნდით.

... ინგა კურტანიძეს ტყიბულში აქვს 80 ჰექტარი, ხარაგაულში, ქარელში, თეთრიწყაროში, სადაც ცნობილი დასასვენებელი ზონა და ფიჭვნარია, ოზურგეთი, ტყიბული, ქარელი, მცხეთა, დუშეთი... არ ვიცი, რომელი ერთი გითხრათ, გამოდის, რომ მთელ საქართველოში ეს პროცესი მიმდინარეობს ამ ბანდების მიერ!

ხელისუფლებას 26 მაისს რომ ახსენდება კოჯორ-ტაბახმელასთან დაღუპული იუნკერები და მემორიალთან ყვავილები მიაქვს, ზუსტად ამ იუნკერების მემორიალიდან, დაახლოებით, 70 მეტრშია ძალიან „ძვირფასი“ არაბული სოფელი, 35-40 ოჯახი უკვე ჩამოსახლებულია, დანარჩენი სახლების მშენებლობა კი მიმდინარეობს. ეს არის კონკრეტული ლოკაციები, იგოითიდან დაწყებული მცხეთამდე, ყოველი 10 ნაკვეთიდან 7 – უცხოელისაა. ცნობილი თხოთის მთა, სადაც წმინდა ნინოს ეკლესიაა, მირიან მეფეს რომ თვალთ დაუბნელდა, აი, ეს ნაწილიც არაბებისაა, 52 ჰექტარი. მარჯვენა მხარე, აღაიან-მუხრანის ველი ირანელებისაა, 50 ჰექტარი. ყველაფერ ამის ნახვა შეგიძლიათ napr.gov.ge– ზე.

ამ რეალობასთან გვაქვს საქმე და მომავალ თაობას რას ვეუბნებით, ძალიან საინტერესოა. აი, ასეთ საქართველოს ვუტოვებთ, არაბულ, ირანულ თურქულ, ჩინურ, ეგვიპტური სოფლებით მოფენილს? ამისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები და ამისთვის იღვრებოდა სისხლი? ქსენოფობობას ნუ დამწამებენ, მე ვარ პოეტი კაცი, ჯერ ჩემი საქართველო მიყვარს, ჩემი მიწა-წყალი, ჩემი ქართველი ერი, ეს ღვთიური მიწაა, ღმერთმა გვიბოძა ეს ტერიტორია. დღეს კი შაგრენის ტყავივით მცირდება ჩვენი უნიათობის, არასწორი პოლიტიკური ორიენტაციების გამო და რაც გვაქვს, იმასაც ხელში ვუგდებთ ჩვენ ისტორიულ მტრებს. აუცილებლად უნდა იცოდე, ვისი გორისა ხარ, ვინ არის შენი მოყვარე და მტერი. შედით ეროვნული რეესტრის სააგენტოში და კარებთან დადექით 15 წუთი, მიხვდებით, რაც ხდება.

ცხრა თვე გავიდა, რაც წერილებით მივმართეთ, 500-ზე მეტმა სოფლის მოსახლეობამ, მათ შორის, მონაზვნებმა, სამღვდელოებამ, რომ შეჩერდეს ეს პროცესები. მივმართეთ პრემიერს, მთავრობას, პარლამენტს, 15-მა პროფესორმა და აკადემიკოსმა ღია წერილი გავუგზავნეთ იუსტიციის მინისტრს, სადაც 15 აკადემიკოსი და პროფესორი ხელს ვაწერთ, თუ რა უნდა გააკეთოს რატი ბრეგვაძემ ისე, რომ ძალიან მარტივად გადაწყდეს ეს პრობლემა, რადგანაც ძირითადად ძაღლის თავი იქ არის დამარხული, რომ ჩვენი კონსტიტუციით, აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა, ამიტომ ხდება მისი კატეგორიის შეცვლა ეკონომიკის სამინისტროს ყაჩაღთა ბანდის მიერ, ეს პროცესი ტყვეთა სყიდვის პროცესს ჰგავს.

შევთავაზეთ, რომ დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მესამე პუნქტს დაემატოს ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიის შეცვლისას შემდგომი მანიპულაციის გამორიცხვას. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მეოთხე ნაწილის გაცხადებული მიწის რესურსებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების პრინციპის დაცვის მიზნით, მიწის კატეგორიის შეცვლისას, ნაკვეთს უნდა მიენიჭოს სპეციალურად აღმნიშვნელის სტატუსი, სპეციალურ გრაფაში აღინიშნება, რომ მიწის ნაკვეთს შეცვლილი აქვს კატეგორია, რომელიც არარეზიდენტი პირებისათვის წარმოადგენს შემზღუდავ გარემოებას, აღნიშნული მიწის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. მარტივად რომ გითხრათ, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწას გადააქცევენ არასასოფლო-სამეურნეოდ და ისე გაიტანენ ბაზარზე, იქ აღნიშნული იქნება, რომ ამ მიწას აქვს კატეგორია შეცვლილი და მისი ყიდვა უცხოელს ეკრძალება.

# მარტოხელებს ხელფასი მოუმატეს

ფილიპინებზე მდებარე ქალაქ ხენერალ-ლუნას მერიის თანამშრომლებმა ხელფასზე დანამატი იმის გამო მიიღეს, რომ ვალენტინობის დღესასწაულს მარტონი შეხვდნენ. ქალაქის თავმა მეტ ფლორიდომ გადაწყვიტა, სამჯერ მეტი ხელფასი მიეცა იმ მუშაკებისთვის, რომლებიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქორწინებაში არ ყოფილან. პოლიტიკოსმა აღიარა, რომ თანაუგრძნობს ასეთ ადამიანებს, რადგან თავადაც გამოცდილი აქვს მარტოობის გრძნობა. იმ თანამშრომლებს, რომელთაც უკვე იპოვეს მეორე ნახევარი და, შესაბამისად, ამ ბონუსის გარეშე დარჩნენ, ეს ფაქტი არ გაუპროტესტებიათ. აღსანიშნავია, რომ მარტოხელა კოლეგების ამგვარი დაჯილდოების აქცია ქალაქის მერიამ უკვე ზედიზედ მესამედ ჩაატარა.

# ქალებს მენსტრუალურ შვებულებას მისცემენ

ესპანეთის პარლამენტმა, პირველმა ევროპაში, სუსტი სქესის წარმომადგენლებს მენსტრუალური შვებულების უფლება მისცა. ტკივილების გამო დროებითი შრომისუუნარობა ექიმისგან აღებულმა ცნობამ უნდა დაადასტუროს. დასვენების დღეების რაოდენობა კანონით არ იზღუდება. გაცდენილი დღეების თანხას ქალებს დამსაქმებელი არ აუნაზღაურებს, მას სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა დააფინანსებს. კანონის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მენსტრუალური შვებულება, შესაძლოა, სუსტი სქესის სტიგმატიზაციის მიზეზად იქცეს – შიშობენ, რომ სამსახურში აყვანისას, დამსაქმებლები უპრატესობას მამაკაცებს მიანიჭებენ. ამგვარი შვებულება მსოფლიოს სულ რამდენიმე ქვეყანაში არსებობს, მათ შორის, იაპონიაში, ინდონეზიასა და ზამბიაში.

# მოდური ბრენდის ხელმძღვანელი მუსიკოსი გახდა



ამერიკელი მუსიკოსი, ფარელ უილიამსი მოდის სახლ – Louis Vuitton-ის მამაკაცის ტანსაცმლის ხაზის კრეატიული დირექტორი გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია ბრენდის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. პოპულარული მომღერლის მიერ შექმნილ პირველ კოლექციას პარიზში, ამ ზაფხულს წარადგენენ. 2003 წელს, ფარელ უილიამსმა, იაპონელ დიზაინერ ნიგოსთან ერთად, ტანსაცმლის ბრენდი Billionaire Boys Club დააფუძნა. გარდა ამისა, ის თანამშრომლობდა მოდის მსხვილ სახლებთან, როგორებიც არიან – Louis Vuitton და Chanel.

# სოციალური კავშირები ჯანმრთელობის საწინდარია

სწავლულებმა კენტის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ მტკიცე სოციალურ კავშირებს ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მათი კვლევის შედეგები ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა. სპეციალისტებმა 122 ქვეყნის 13 ათასზე მეტი მცხოვრების მონაცემები გააანალიზეს, რაც პანდემიისას, კარანტინის პერიოდში შეაგროვეს. მკვლევარებმა შეაფასეს ადამიანების სოციალური კავშირები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებსაც ძლიერი ოჯახური კავშირები ჰქონდათ, უფრო ხშირად იბანდნენ ხელებს, ინარჩუნებდნენ დისტანციას და ატარებდნენ ნიღბებს პანდემიის დროს. კვლევებით დადგინდა, რომ მჭიდრო კავშირები უკეთეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან ასოცირდება. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ჯანდაცვის სისტემებს შეუძლიათ შეამცირონ მედიკამენტური მკურნალობის ხარჯები, თუკი ადამიანებს სოციალური კავშირების გაძლიერებას „დაუნიშნავენ“.

# მაღაზია – უფასო პროდუქტებისთვის

ნიდერლანდებში, ამსტერდამის ერთ-ერთ რაიონში, სუპერმარკეტი Fris გაიხსნა, სადაც პროდუქტები უფასოა. საკვების მისაღებად ერთადერთი პირობაა – კონსულტაციის გავლა „ლაიფ-ქოუჩთან". მსურველებს შეუძლიათ, ამ მაღაზიაში აიღონ ახალი პროდუქტები, ჰიგიენის ნივთები და საყოფაცხოვრებო ქიმია. ამისთვის წინასწარ ჩაწერა ან საკუთარი სიღარიბის დემონსტრირება საჭირო არ არის. სისტემა ურთიერთნდობასა და პატივისცემაზეა დაფუძნებული. უფასო პროდუქტების გარდა, სუპერმარკეტის სპეციალისტები ადამიანებს სხვა საკითხების მოგვარებაშიც ეხმარებიან, კერძოდ, სამუშაოს მოძებნიდან – სხვადასხვა შეღავათების გაფორმებამდე. მაღაზია ფონდმა Studiezalen-მა გახსნა და ის ადგილობრივი კომპანიების შემოწირულობებითა და კრაუდფანდინგით ფინანსდება.

# ევროპას წყლის კრიზისი ემუქრება




სპეციალისტების მიერ ჩატარებული ახალი კვლევების თანახმად, ევროპის ტერიტორიაზე, წყლის მიწისქვეშა ბუნებრივი რეზერვუარები შრება, რაც ამ სასიცოცხლო რესურსის კრიზისს მოასწავებს. კვლევების ავტორების თქმით, 2018-2019 წლებში, კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში, წყლის ნაკლებობა უკვე შეიმჩნეოდა. მას შემდეგ, მიწისქვეშა წყლების მარაგი არ აღდგენილა, რისი მიზეზიც ძლიერი გვალვებია. უნალექობისა და მაღალი ტემპერატურის უარყოფითი შედეგები ევროპამ შარშან უკვე იწვნია. წყლის ბევრმა ბინადარმა ბუნებრივი საცხოვრებელი დაკარგა, წარმოიშვა სამეურნეო პრობლემები, შეფერხდა ელექტროენერგიის გამომუშავების პროცესი. რამდენიმე წლის წინ, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ევროპაში წყალი პრობლემური გახდებოდა, განსაკუთრებით, გერმანიასა და ავსტრიაში, – აცხადებენ კვლევის ავტორები.

# ნაბახუსევი დაავადებად აღიარეს

გერმანიაში, მაინის ფრანკფურტის სასამართლომ განიხილა საქმე ნაბახუსევის საწინააღმდეგო საშუალებების მწარმოებლების წინააღმდეგ და დაადგინა, რომ ეს მდგომარეობა დაავადებაა. მოსამართლის განცხადებით, ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც სხეულის ნორმალურ ფუნქციონირებას არღვევს, შესაძლოა, დაავადებად განისაზღვროს. კომპანიას ბრალი ედებოდა იმაში, რომ ის „არაკანონიერ" განცხადებებს აკეთებდა, თითქოს მისი პროდუქცია აღკვეთდა ან კურნავდა ნაბახუსევს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ნაბახუსევს დაავადების სტატუსი მიანიჭა, იმავდროულად, ისიც დაადგინა, რომ ეს დაავადება მხოლოდ ალკოჰოლის ან მავნე ნივთიერებების ზემოქმედების შედეგია და მისი განკურნებისთვის წამალი არ არსებობს. შესაბამისად, კომპანიას, რომლის წინააღმდეგაც სასამართლოში სარჩელი შევიდა, ნაბახუსევის წამლების გაყიდვა აეკრძალა.

# მამაკაცი ქათამმა იმსხვერპლა

ირლანდიის სამართალდამცავების ცნობით, ჯასპერ კრაუსი საკუთარ სახლში იმყოფებოდა, როცა მას თავს ქათამი დაესხა. შედეგად, მამაკაცმა მარცხენა ფეხზე რამდენიმე ჭრილობა მიიღო, რამაც ძლიერი სისხლდენა გამოიწვია. მისი შეჩერება დამოუკიდებლად ვერ შეძლო, ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარებამ კი კაცის გადარჩენა ვეღარ მოახერხა. ჯასპერის ქალიშვილი ვირჯინია აცხადებს, რომ მამამისი, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ბევრ წამალს იღებდა. ამას გარდა, მას სიმსივნეც ჰქონდა – რემისიის პროცესში. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მისტერ კრაუსის გარდაცვალების მიზეზი გულის სასიკვდილო არითმია გახდა.

## ინფორმაცია საყვარელი მამაკაცების წარსულზე

ესპანეთის პოლიციამ გადაწყვიტა, სუსტი სქესის წარმომადგენლებს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, იყვნენ თუ არა მათი პარტნიორები ოჯახური ძალადობის ფიგურანტები, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ავტომატური არ იქნება – პოლიციის ოფიცრებს მოუწევთ პოტენციური მსხვერპლების მოწყვლადობის ხარისხის შესწავლა და ძალადობის რისკის განსაზღვრა. გამონაკლისს მხოლოდ იმ ქალებისთვის დაუშვებენ, რომელთა მონაცემებიც გენდერული ძალადობის მსხვერპლთა ბაზაშია – ისინი პარტნიორების წარსულის შესახებ ინფორმაციას მოთხოვნისთანავე მიიღებენ. ასეთი გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყანაში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ დემონსტრაციები გაიმართა. მხოლოდ გასული წლის დეკემბერში, საკუთარ პარტნიორებს 11 ქალი ემსხვერპლა.

## ტკბილი სასმელების რეკლამას კრძალავენ

სინგაპური მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება, რომელიც შაქრის მაღალი შემცველობის მქონე სასმელების რეკლამას აკრძალავს. მწარმოებლებს უფლება აღარ ექნებათ, საკუთარ პროდუქციას რეკლამა გაუკეთონ სატელევიზიო, ბეჭდურ და ინტერნეტ-მედიაში, ასევე, რადიოში. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ასეთი გადაწყვეტილება დიაბეტის წინააღმდეგ წამოწყებული ომის გამო მიიღეს. აკრძალვის ქვეშ მოექცევა წვენები, უალკოჰოლო სასმელები, იოგურტები და ხსნადი ყავა. გარდა რეკლამის აკრძალვისა, სამინისტრო ტკბილი სასმელების მწარმოებლებს დაავალდებულებს, საკუთარ პროდუქტზე, შაქრის შემცველობის შესახებ ფერადი ეტიკეტი განათავსონ. ჩინონიკების თქმით, უახლოესი თვეების განმავლობაში მომხმარებლების გამოხმაურებას დააკვირდებიან. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს ჯანდაცვის უწყება, ზუსტად როდიდან შევა კანონი ძალაში.

## ღამით მომუშავეებს სიმსუქნე ემუქრებათ

სიმსუქნისკენ მიდრეკილება უფრო მეტად იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც იძულებულნი არიან, ღამით იმუშაონ ან ხშირად იმგზავრონ ქვეყნებში, სხვადასხვა სასაათო სარტყელით. ასეთ დასკვნებს პორტუგალიელი სწავლულები აკეთებენ. სპეციალისტების თქმით, უძილობამ ან ძილის ჩვევების ცვლამ, შესაძლოა, სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეგრეთ წოდებული, „ცირკადული რიტმები“ ინფორმაციას აწვდის უჯრედებს, დღე-ღამის რა დროა და ამით ეხმარება ორგანოებსა და სასიცოცხლო სისტემებს ივარაუდოს, ჭამის დროა თუ ძილის. ამასთან, თანდაყოლილი ლიმფური უჯრედები განსაკუთრებითაა დამოკიდებული სასაათო რიტმზე. ამ რიტმის ხშირი დარღვევა იწვევს ნაწლავების ანთებას, ნაწლავური ბარიერის რღვევასა და ცხიმდაგროვებების ზრდას.

## ჭიქა ღვინო უნაყოფობას იწვევს?

ყოველ საღამოს ერთი ბოკალი ღვინის დალევაც კი ნეგატიურ გავლენას ახდენს დაფეხმძიმების შანსებზე, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დანიელი სწავლულები. მათ ალკოჰოლის გავლენა შეისწავლეს ქალის ორგანიზმზე და გაარკვიეს, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ყოველ საღამოს ერთ ან მეტ ჭიქა ღვინოს მიირთმევენ, დაფეხმძიმების შანსებს იქვეითებენ. წლის განმავლობაში ეს შანსი 18%-ით მცირდება. აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვყანაში ექიმები ქალებს ურჩევენ, საერთოდ არ მიიღონ ალკოჰოლი, თუკი შვილის გაჩენა სურთ. თუმცა, აქამდე არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ მცირე რაოდენობით ალკოჰოლი ამ საკითხში ასეთი მავნებელია. დანიელი მკვლევარები 21-დან 45 წლის ასაკამდე 6 ათას მანდილოსანს აკვირდებოდნენ, რომლებიც წლის განმავლობაში დაფეხმძიმებას ცდილობდნენ. აღმოჩნდა, რომ თუ კვირის განმავლობაში, ისინი 7 ბოკალ ღვინოს მიირთმევდნენ, დაორსულების შანსები 18%-ით იკლებდა. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე ქალი, რომელიც სხვა პირობებში წარმატებით დაფეხმძიმდებოდა, სპირტიანი სასმელის დოზის გამო, ამას ვერ ახერხებდა. კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ თანამედროვე ქალებისთვის ალკოჰოლის მოხმარება ცხოვრების წესის განუყრელი ნაწილი გახდა. თუმცა, კვლევისას მიღებული შედეგები ცხადჰყოფს, რომ ალკოჰოლის მოხმარება მათ ფერტილობას მჭიდროდ უკავშირდება.

# საქორწინო ტორტებს აქირავებენ

კანადური საკონდიტრო Le Dolci, რომელიც მრავალნაირი უგემრიელესი ტკბილეულობითაა ცნობილი, საკუთარ კლიენტებს უჩვეულო სერვისს სთავაზობს. შეყვარებულ წყვილებს ის მნიშვნელოვნად შეუმცირებს ხარჯებს საქორწინო ტორტის მიქირავებით. ცნობილია, რომ სადღესასწაულო ტორტები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და მასზე ხელი ყველას არ მიუწვდება. კანადელების ახალი მომსახურება კი საშუალებას იძლევა, შეუკვეთოთ ნაწილობრივ ფიქტიური ტორტი, რომლის მხოლოდ ზედა ნაწილი იჭმევა. მას დაჭრით და სტუმრებსაც გაუმასპინძლდებით, ქვედა, ბუტაფორიულ ნაწილს კი, ქორწილის შემდეგ, საკონდიტროს დაუბრუნებთ. საწარმოს თანამშრომლების თქმით, ასეთი სერვისის წყალობით, წყვილებს შეუძლიათ ისეთი დახვეწილი ტორტით მოიწონონ თავი დღესასწაულზე, რომელზეც, სხვა შემთხვევაში, უარის თქმა მოუწევდათ.

# მცხოვრებლებს ფულით იტყუებენ

შვეიცარიაში მდებარე ერთ-ერთმა სოფელმა „გაახალგაზრდავება“ გადაწყვიტა. საამისოდ, ადგილობრივი ხელისუფლება ნებისმიერ მსურველს 1510 დოლარს გადაუხდის, თუკი ის სოფელში დასახლდება. თუმცა, არის ერთი პირობა – გროსდიტვილელების მოთხოვნაა, რომ მსურველი 30 წელზე ნაკლების იყოს, რომლისთვისაც სოფლის სახლი, მშობლების სახლებისგან ცალკე, პირველი საცხოვრებელი იქნება. სოფელში, რომლის მოსახლეობაც სულ 870 ადამიანია, ბევრი ცარიელი ბინაა. მერიის წარმომადგენლების თქმით, ასეთი შეთავაზება ბევრ ახალგაზრდას სოფელში დასახლების სურვილს გაუჩენს. ცნობილია, რომ ამ წინადადებით უკვე ისარგებლა ოთხმა ადამიანმა. გადახდილი თანხა კი მათ პირველი თვის გადასახადებზე ეყოფათ.

# რომელი სართულია საცხოვრებლად ყველაზე კარგი?

სპეციალისტების აზრით, ადამიანის კომფორტული ცხოვრება მოითხოვს მაგნიტური ველის სასურველ ფიქსირებულ დონეს. მათი აზრით, მაღალ სართულებზე ცხოვრება საშიშია ჯანმრთელობისთვის, რადგან გარკვეულ სიმაღლეზე მაგნიტური ველი მცირდება, რასაც შეუძლია, ადამიანის იმუნური სისტემა შეასუსტოს, გამოიწვიოს ნერვული აშლილობები და გულსისხლძარღვთა დაავადებები. ამერიკელი მეცნიერების დასკვნით, საცხოვრებლად ყველაზე შესაფერისი ვარიანტია ბინის მდებარეობა მეშვიდე-მერვე სართულამდე. გარდა ამისა, ექსპერტებმა ისიც შეისწავლეს, რა გავლენას ახდენს მაგნიტურ ველზე ის საშენი მასალები, რომლებითაც აგებულია შენობები. აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სახლის კედლები ბეტონითაა აშენებული, მაგნიტური ველის ეფექტი 10%-ით მცირდება, აგური ველს 7%-ით ასუსტებს, ხოლო ხე – მხოლოდ 1%-ით. ასე რომ, ყველაზე სასურველი და სასარგებლო საცხოვრებელი სახლები ხისგან ყოფილა აგებული.

# ზეითუნი – ტვინის ანთების წინააღმდეგ

ზეითუნის ზეთის სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იყო ცნობილი. ცოტა ხნის წინ ამერიკელმა სწავლულებმა პენსილვანიის უნივერსიტეტიდან განაცხადეს, რომ ამ პროდუქტის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის ანთებას. ნატურალური ზეითუნის ზეთი ხელს უშლის ტვინის დემენციას და ინარჩუნებს მეხსიერების აქტივობას. მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას დაამტკიცეს, რომ ზეთი მავნე ნარჩენებისგან ასუფთავებს თავის ტვინს. ზეითუნის ზეთის რეგულარული მოხმარება არა მხოლოდ იცავს ადამიანის მეხსიერებას, არამედ, აძლევს უნარს, ასაკის მიუხედავად, სწრაფად და მარტივად ისწავლოს ახალი რამ. ამერიკელი სწავლულების მტკიცებით, აზროვნებისთვის უფრო სასარგებლოა ზეითუნის ზეთი, ვიდრე ნებისმიერი სახის ხილი ან ბოსტნეული.

# ტუალეტის ქაღალდზე გადაირივნენ

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებლები „ჭკუას კარგავენ“ ახალ მდიდრულ ტუალეტის ქაღალზე, რომელიც 12 დოლარი ღირს. სამფენიანი რბილი ქაღალდი იმდენად მყიფეა, რომ მას რულონებად ხელით ახვევენ. ეს „ლუქსის“ კლასის ქაღალდი 5 წლის წინ, Mochitsuki Seishi-ს მფლობელმა მოიფიქრა, რომელსაც ძალიან მგრძნობიარე კანი ჰქონდა. რამდენიმეწლიანი ძიების შემდეგ, კომპანიამ გამოიგონა სპეციალური ბალზამი, რომელიც სულ მალე შეცვლის ქაღალდის თანამედროვე წარმოების პროცესს. მაღალი კლასის ქაღალდს, ქაღალდის მასის ბოჭკოების საგულდაგულო დამუშავებითა და წყლის ტემპერატურის ზუსტი რეგულირებით ამზადებენ. ის იმდენად მყიფე გამოდის, რომ კომპანიის თანამშრომლები იძულებულნი არიან, რულონებად ხელით დაახვიონ. ამას კი დიდი დრო მიაქვს – ზოგს ეს სამუშაო სახლშიც კი მიაქვს და იქ ასრულებს. სასაჩუქრე ნაკრები, რომელიც თბილი ფერებისაა და მხატვრულადაა გაფორმებული, 8 რულონისგან შედგება და მისი ღირებულება 100 დოლარია. ტუალეტის ქაღალდი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც ის ადგილობრივმა ცნობადმა სახეებმა აღმოაჩინეს და აღფრთოვანება ვერ დამალეს.

# ცოლის საყვარელი ფულს გადაუხდის

ჩრდილოეთ კაროლინის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა კევინ ჰოვარდის საქმეზე. კევინმა გაიგო, რომ ცოლი ღალატობდა და სასამართლოში იჩივლა. შედეგად, ცოლის საყვარელმა მას 750 ათასი დოლარის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ჰოვარდმა ისარგებლა კანონით, რომელიც უფლებას გაძლევთ უჩივლოთ ადამიანს, თუკი იგი „მიზანმიმართულ ჩარევას ახორციელებს ოჯახურ ურთიერთობებში“. შტატების უმრავლესობაში ეს კანონი გაუქმებულია, მაგრამ კვლავ მოქმედებს მისისიპის, ნიუ-მექსიკოს, სამხრეთ დაკოტას, იუტასა და ჩრდილოეთ კაროლინას შტატებში. ჰოვარდი 12 წელია დაქორწინებული იყო და მიაჩნდა, რომ ბედნიერი ოჯახი ჰქონდა. მაგრამ ერთხელაც ცოლმა მას განქორწინება სთხოვა. კევინმა მიზეზის დასადგენად კერძო დეტექტივი დაიქირავა და გაარკვია, რომ ცოლი სამსახურში, თანამშრომელთან ღალატობდა. ჰოვარდმა არსებული კანონი გამოიყენა და სასამართლოში იჩივლა. ახლა საყვარელი ვალდებულია, მას 750 ათასი დოლარი გადაუხადოს.

# სწავლულები ვირტუალურ საკვებს გვიმზადებენ



სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის სპეციალისტები წარმატებულ ცდებს ატარებენ, ეგრეთ წოდებულ, ვირტუალურ საკვებთან დაკავშირებით. ეს ელექტრონული მოწყობილობებია, რომელიც საჭმლის გემოსა და კონსისტენციის იმიტირებას ახდენს. ახალ ტექნოლოგიებს თამაშებში გამოიყენებენ – მონაწილეებს შეეძლებათ, „გასინჯონ“ საჭმელი ისე, რომ არ გამოვიდნენ ვირტუალური სივრციდან. ის ასევე მოთხოვნადი იქნება იმ ადამიანებში, რომლებიც იძულებულნი არიან, ალერგიის გამო, უარი თქვან რომელიმე პროდუქტზე. ციფრული სტიმულატორის მეშვეობით, შეძლებთ, ნებისმიერი ალერგენი, ან ყველაზე მავნე „ფასტფუდი“ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად „მიირთვათ“. სწავლულმა უკვე შექმნეს „ციფრული საწუწნი კანფეტები“. მათი თქმით, ყველაზე დიდი სირთულე სწორედ სტიმულატორებით ტკბილი გემოს გადმოცემაა.

# ლოცვით განკურნება მეცნიერულად დამტკიცებულია

მედიკოსების მტკიცებით, ლოცვისა და მედიტაციის ძალა განუზომელია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სისტემატური ლოცვა ტვინის იმ უჯრედებს ააქტიურებს, რომლებიც უამრავი მძიმე დაავადების დამარცხებას უწყობენ ხელს და ტვინის სტიმულირებას ახდენენ. კვლევაში ის ხანდაზმული ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდათ. ჯეფერსონის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ ნიუბერგი მათ 8 კვირის განმავლობაში, დღეში 12 წუთით, ლოცვის პროცესში აკვირდებოდა. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მეცნიერს დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა – ნიუბერგი ამტკიცებს, რომ ტვინს სტრუქტურული ცვლილების უნარი აქვს, რაც ადასტურებს, რომ ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელია. კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ფლორიდაში, სიმსივნის კვლევით ცენტრში ჩატარდა, სწავლულებმა დაადგინეს, რომ კვლევაში მონაწილე 40 ათასი პაციენტიდან განსაკუთრებით მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ვინც რეგულარულად ლოცულობდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.